საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 21 აპრილი. 192[illegible] წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15X2 სტრიქონი ხაზით 100 მანეთი. ხელთ განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციის და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 6, [illegible] [illegible] 10-[illegible] ტელეფონი 16—[illegible]

№ 88 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 88

მეუღლე ანეტა, შვილი შოთა, სიმამრი სარდიონი, სიდედრი კატო, ცოლის ძმები: მაიორი ილია და შალვა, რძალი ელენე ასათიანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებულ

ივლიანე გიორგის ძე დარახველიძისას,

რომლის გამოსვენება მოხდება ქალ. ქუთაისში გენერლის ქუჩაზე, 21 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. (1335—1—1

მეუღლე ანეტა, შვილი შოთა, დედა ეფროსინე, ძმები: ერმალო, ვიქტორი (პეპიკო), ნოე, რძლები: პასიკო, გალინე და თამარა, სიძეები: ილია რობინაშვილი, ივანე ყიფიანი, ალექსანდრე ლომიძე და ალექსანდრე მესხი გულ დამწვარნი აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ თავის უდროოდ გარდაცვალებულ

ივლიანე გიორგის ძე დარახველიძისას,

რომლის დაკრძალვა მოხდება საფირჩხიის სასაფლაოზე, 21 აპრილს ნაშუადღევის 4 საათზე გამოსვენება გენერლის ქუჩიდან. (1335—1—1)

ერმილე თეიმურაზის ძე კუჩაიძე უღრმესი მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ თავისი მეტად დაუვიწყარი ამხანაგის

ივლიანე გიორგის ძე დარახველიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვაც მოხდება ქალ. ქუთაისში, საფირჩხიის სასაფლაოზე 21 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე. (1335—1—1)

მამიდაშვილები, დები: კატო, ბაცია, ქეთუნა, ძმები: კოწია, ვიქტორი, ტრიფონი, ვარლამი, ლუდიკო, დიომიდე, რძლები: თეკლე, საშა და ნინა ახვლედიანები აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ დაუვიწყარ ბიძაშვილის

ივლიანე გიორგის ძე დარახველიძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის გამოსვენება მოხდება ქალ. ქუთაისში, 21 აპრილს, ნაშუადღევის 4 საათზე გენერლის ქუჩიდან. (1335—1—1)

კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭო დამწუხარებული გარდაცვალებით, მცირე ხნის ავადმყოფობის შემდეგ თავის წევრის

ვასილ ილიას ძის რჩხილაძის

აცნობებს რა კავკასიის საზოგადოების წევრებს, სთხოვს პატივი სცენ განსვენებულის ხსოვნას და მობრძანდნენ პანაშვიდზე სამშაბათს, 21 აპრილს, 1 საათზე, საზოგადოების შენობაში. (1334—1—1)

დეკანოზი პოლიევქტის გრიგოლის ძე და თამარ მელიტონის ასული კარბელაშვილები, რძალი დარია აბელის ასული, შვილები: ფილიმონი და დავითი ოჯახებითურთ და ელენე—[illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ: პირველნი ძვირფასისა და დაუვიწყარი შვილის, მეორე—საყვარელი მეუღლისა, მესამენი—ძმისა, მაზლისა და ბიძის

ივანე პოლიევქტის ძის კარბელაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას სად. წინარისწყალზე 16 აპრილს. დასაფლავება ს. გურჯაანში ხუთშაბათს, 22 აპრილს. (1338—2—1)

შვილები: ნატალია ვანოს ასული შელიას, ცუცუ ივანეს ასული დოლუასი, მართა ივანეს ასული კანდელაკისა; შვილიშვილები: პავლე და გრიგოლი მიხეილის ძენი შელია, ალექსი და ლევანი მიხეილის ძენი დოლუა; მიტროფანე, იპოლიტე, გიორგი და ივანე ივანეს ძენი კანდელაკი; მატრონა მიხეილის ასული ანთელავასი, არეთა ალექსის ასული მიქაშავიძისა, მარიკა ივანეს ასული ცაგარეიშვილისა, ეკატერინე ალექსის ასული დოლუა, ლოლია ივანეს ასული კანდელაკი, ქეთევან მიხეილის ასული დოლუა, სიძეები: მიხეილ ლევანის ძე დოლუა, ივანე დიმიტრის ძე კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

ირინე ბეკო ჩიქოვანის ასულის დგებუაძისას.

პანაშვიდი ყოველ საღამოს 6 საათზე პ. და გ. შელიას სახლებში, ქ. ზუგდიდი. გამოსვენება პარასკევს, 23 აპრილს. 5 საათზე. (1339—1—1)

ღრმად დამწუხრებული შვილები: გიორგი ბარამის ძე მდივანი და ნენიკო ბარამის ასული ნანეიშვილი, დისშვილები: გიგუცა, ნადია, ცუცუნა, კოტე, გრიშა და დიმიტრი, სიძეები: სამსონ მაჭავარიანი და გიორგი ნანეიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დანიშნულია მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის დედის

სალომე მდივნის

სულის მოსახსენებლად სოფელ [illegible] წმინდა გიორგის ეკლესიაზე, ხუთშაბათს, 22 აპრილს. (1341—1—1)

ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მე 7 კლასის მოსწავლენი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგთ, ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი ამხანაგის მე 8 კლასის მოსწავლის

ვანიჩკა (ივან) გუნცაძის

ამხანაგთა წრიდან უდროოთ გამოცლას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს 22 აპრილს სოფ. ქვალითში. (1446 1—1)

ხაშურის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ ძვირფასი ამხანაგის, მერვე კლასის მოსწავლის

ვანო (ვანიჩკა) გუნცაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 აპრილს სოფელ ქვალითში. (1346 1—1)

ხაშურის ვაჟთა გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლენი აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი მეგობრის ამავე კლასის მოწაფის

ვანო (ვანიჩკა) გუნცაძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 22 აპრილს ს. ქვალითში. (1346 4—1)

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი მარო თევზერიძის ასული ტოტოჩავასი, მამა ლადიმერი, ძმა შალიკო, დები: ელენე და კლემანე ტოტოჩავები, სიდედრი ალათი, ცოლის ძმა ილიკო თევზერიძენი, ცოლის დები: ოლია გოგიბერიძისა და ნინა ხურციძისა, სიძე ისიდორე ხურციძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

გერმანე ტოტოჩავას (ლადომერის)

ორმოცი დღის შესრულებას გარდაცვალების შემდეგ. წირვა და პანაშვიდი დანიშნულია ქაშუეთის ეკლესიაზე 23 აპრილს, 11 საათზე. (ნ. 1—1)

საქართველოს მეღვინე მევენახეთა [illegible] საბჭო, ღრმა მწუხარებით აუწყებს საბჭოს წევრის

ვასილ ილიას ძის რჩხილაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება შინიდგან ხუთშაბათს 22 მაისს დილის 9 საათზედ. (1344—1—1)

მოსამსახურენი შინა-მრეწველობის განყოფილებისა მიწათ-მოქმედების სამინისტროსა მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ყოფილ თავმჯდომარის განყოფილებისა

ვასილი ილიას ძე რჩხილაძისა

(1242 1—1)

ცირკი
„იპპოდრომი“

(ყოფილ ძმ. ეფიმოვებისა) პლეხანოვის პროსპექტი მუშტაიდის მახლობლად.

დღეს და ხვალ დიდი

„ნონ-პლუს-ულტრა“

წარმოდგენები—18 სხვადასხვა ნომერი. ისწრაფეთ ნახოთ ცნობილი ა. დუროვი. დღეს ბევრი ექსპრომტებია; დღეს—დღიური პირ-ვარამი. დღეს—გაგრძელებაა გასტროლების ციგანურ საბალეტო ანსამბლისა. ხაუცხოვო კოსტიუმები. (1325—1—1)

გამოვიდა და იყიდება წიგნი

„რევოლიუციის ტალღებში“

ისტორიული პიესა 3 მოქ. და 6 სურათად ი. ირემაშვილისა. მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ კანტორა „განათლებაში“ და ქართ. შ. წ. კ. გ. ს. წიგნის მაღაზიაში. წიგნი ღირს 50 მანეთი. (ნ. 3—1)

საქართველოს რესპუბლიკის საპყრობილეთა
მხლებელთა რაზმი

ამით აცხადებს სათადარიგო ჯარის კაცთა საყურადღებოთ, რომ რაზმის შტატი გააფართოვა და დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ, და ამისთვის მოუწოდებს მსურველთ, რომ ჩაეწერონ რაზმში სამსახურისთვის.

მიღება შეიძლება რაზმის კანცელარიაში (ციხე № 1, მხლებელთა რაზმი) ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 11 საათიდგან 2 საათამდის. რაზმში მიღების და ჩარიცხვის პირობები შეიძლება გაიგონ რაზმის კანცელარიაში.

რაზმის უფროსი: კაპიტანი დ. ი. ჯაფარიძე.

ქალაქთა კავშირი
კომერციული ბიულეტენი

ქალაქთა კავშირის საწყობმა მიიღო და აძლევს სახელმწიფო, ქალაქთა, საზოგადო და კერძო დაწესებულებებს (ბითუმათ) შემდეგ საქონელს:

მანუფაქტურა იტალიანური და ინგლისური ქაღალდისა.

ქსოვილები მატყლისა და მაუდები, ინგლისური.

ემალის (მინანქარის) **ჭურჭლეულობა.**

საპონი ფრანგული (მარსელის).

კოჭის ძაფები ინგლისური, იტალიანური და უმაღლეს ღირსების ისპანიური.

დანა ჩანგლები, უვნებელი და ჩვეულებრივი სამართებლები.

რუსული შვრია (пшено).

ელექტრონის მავთულები.

ახლო მომავალში მიღებული იქნება: ფანჯრების შუშა, ფეხსაცმელები, რუსული მაგარ ზოლიანი გალოშები, „კეროსინკები“, შვედური ემალის ჭურჭლეულობა და მწვანე ქაღალდები საბეჭდავ მანქანებისათვის.

ნაწილ-ნაწილად აღნიშნულ საქონლის შეძენა შეიძლება ქალაქთა კავშირის მაღაზიაში—სომხის ბაზარი, № 73, ტელეფონი № 18—20.

ბითუმათ მოვაჭრეებმა უნდა მიმართონ ქალაქთა კავშირის კომერციულ განყოფილებაში—გოგოლის ქ., № 51, ტელეფონი 11—54, დილის 9-დან დღის 3 საათამდე. (ნ. 3—1)

ერობა და სოფელი

დემოკრატიულ მართვა-გამგეობას საძირკველი უნდა გაუმაგრდეს. ხალხმა უნდა იგრძნოს, რომ ახლა ის თვითონ არის თავისი საქმეების პატრონი. რუსეთის რევოლიუციას აკლდა ეს გრძნობა, და ეს იყო სხვათა შორის მისი უნაყოფობის, მისი დამარცხების მიზეზი. რუსეთში ხალხი მთავრობას უყურებდა, როგორც გარეშე ძალას, ფიქრობდა ის თავისით, უჩემოთ გააკეთებს ყველაფერს რაც საჭიროა და რაც მე მჭირდებაო. ასე იყო დროებითი მთავრობის ხანაში, ასე იყო და არის ბოლშევიკების დროსაც. იქ არ სჩანდა შეგნებული ძალა. მთავრობა არ გრძნობდა კავშირს ხალხთან და ხალხი მთავრობასთან. ხალხი ან კმაყოფილი იყო ხოლმე მთავრობით, ან უკმაყოფილო. ის არ ხედავდა, არც შეეძლო დაენახა, რომ მთავრობის ღირსება—ნაკლი მისი—ხალხის ღირსება-ნაკლია.

ძალმომრეობა ვერ დაამარცხებდა დამფუძნებელ კრებას, ქალაქის თვითმართველობას, ერობას, რომ ხალხს ყველა ეს დაწესებულებები თავის სისხლ ხორცად მიეჩნია. დემოკრატიული პრინციპი ვერ მიეკარა რუსეთს. ის ან მარჯვენა ბატონს ემორჩილებოდა, ან მარცხენას, ვერ იგნებდა დამოუკიდებელ გზას.

საქართველოს არ ეტყობა ამისთანა უძლურობა. აქ თვითმართველობის დედა აზრი გატარებულია ძირიდან მაღლამდის, და მაღლიდან ძირამდის. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ პატარა ქვეყანაში მიღწეულია უკანასკნელი მიზანი, და აღარაფერი გვაქვს გასაკეთებელი. თვითმართველობა აქაც ჯერ-ჯერობით დგას ცალკე, არ არის ხალხთან შესისხლხორცებული. ის ჯერ არ გადაქცეულა პურად, ურომლისოდაც შეუძლებელია ცხოვრება, არა ჰგავს ჰაერს, ურომლისოდაც არ შეიძლება სუნთქვა.

ეს თუ არ გაკეთდა, ჩვენი დემოკრატია კოჭლი იქნება, დიდს განსაცდელს ვერ გაუძლებს.

დემოკრატიულ სახელმწიფოში ამოძრავებული უნდა იყოს დიდიც და პატარაც, შეძლებულიც და შეუძლებელიც, ნასწავლიც და უსწავლელიც. თითოეული პიროვნება უნდა გრძნობდეს, რომ ის საზოგადო საქმეშია ჩართული, სხვასთან ერთად საქმობს, ასრულებს თავის დანიშნულებას და მონაწილეობას იღებს საერთო პასუხისმგებლობაში. ეს მოქალაქეობრივი გრძნობა ჯერ კიდევ აკლია ჩვენ მოქალაქეებს. ხშირად გვიგონებთ საყვედურებს, მთავრობამ ესა და ეს ვერ გააკეთაო. არავინ არ ფიქრობს, რომ თუ მთავრობამ ვერ გააკეთა ეს, იქნება მოქალაქეების ბრალიც არის.

როცა რუსეთის სხეულს ჩამოაშორეს დამფუძნებელი კრება, ადგილობრივი თვითმართველობა, რუსეთმა ტკივილი ვერ იგრძნო. გლებ უსპენსკის ერთ მოთხრობაში შესანიშნავი სურათი აქვს. ზღვის პირას ცოცხალ თევზს სჭრიან და ამარილებენ: თევზს რომ ხმის ამოღება შეეძლოს, უსიტყვოთაც რომ ამოიკვნესოს, ყველა ეს მომუშავეები გაიქცეოდნენ, აქეთ-იქით დაიფანტებოდნენ და ვეღარ მოახერხებდნენ დაჭრა-დამარილებას. აი რას ნიშნავს პროტესტი თუნდაც თევზის ენაზე,—ამბობს უსპენსკი. ამნაირი პროტესტიც არ გაისმა რუსეთში, როცა თოფებით და ხიშტებით თავს დაესხნენ დემოკრატიულ პრინციპებს. ასეთ გულგრილობას გლეხი, მაგალითად, არ გამოიჩენდა მიწის საკითხში. არც გამოიჩინა. ის ებრძოდა ბოლშევიკებსაც და დენიკინსაც მიწის გამო. არ იყო და არც იქნება ისეთი ძალმომრეობა, რომელიც ამ კითხვაში გლეხობას გაჩუმებს. პირიქით, გლეხობა აქ დაამარცხებს ყოველთვის მოწინააღმდეგე ძალას, რაც უნდა შეიარაღებული იყოს ეს ძალა.

დემოკრატია მაშინ იქნება უზრუნველყოფილი, როცა ხალხი ასე გამოიდებს თავს მისი გულისთვის. მაშინ დემოკრატია ძლიერი იქნება, რაც უნდა პატარა იყოს.

ჩვენს დემოკრატიას ჯერ არ შეუძლია იამაყოს ამისთანა ძლიერებით. ჩვენი მოვალეობაა ამის სამერმისოთ ნიადაგი მოვუმზადოთ. დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ მხრივ ადგილობრივ თვითმართველობებს, მეტადრე ერობას, რომელიც სოფელთან სდგას და სოფლელების ჭირ ვარამში იღებს მონაწილეობას.

ერობა ახალი საქმეა ჩვენში, ჯერ ვერ არის ფეხ მომაგრებული. სოფელი, როგორც სჩანს, ამას ყველგან ვერ უყურებს ნდობით, ზოგან მტრულ განწყობილებასაც შეხვდებით. ხალხს ვერ შეუთვისებია ის აზრი, რომ ერობა მისთვის არის შემოღებული, ფიქრობს, რომ ის თითონ არის შექმნილი ერობისთვის.

ასე ფიქრობენ ახლა, როცა სოფელში დგას შიმშილობის აჩრდილი. ერობამ უნდა განდევნოს ეს აჩრდილი, სოფელი უნდა ხედავდეს, რომ უერობოთ ის შიმშილის მსხვერპლი გახდება. ამას ვერ ხედავენ ბევრგან. ერობა სხვაა და ჩვენ სხვა, ფიქრობენ სოფლებში, ის თავისთვის, ჩვენ ჩვენთვისაო.

ეს უნდობლობა უთანხმოება ერობის ბრალიც არის და ხალხისაც. ერობას ჯერ არ აქვს იმდენი საშუალება, რომ საკმაო სურსათი იქონიოს და ყველა გაჭირვებული დააკმაყოფილოს. ხალხიც იმდენათ არ არის ერობასთან შეზრდილი, რომ ხელი შეუწყოს და ხალხისთვის საჭირო საქმე გაუადვილოს. სოფელს, მაგალითად, სიმინდი არ აქვს, საყიდლადაც ვერ შოულობს. ერობას შეუძლია ყიდვა და მოტანა, ფული არ ყოფნის. ამ შემთხვევაში საჭიროა თანამშრომლობა. ხალხმა, ვთქვათ უნდა მოაგროვოს საკმაო ფული, უნდა გაიგოს ეს რამდენი სიმინდი სჭირდება, ეს გადასცეს ერობას. ერობამ უნდა გამოიყენოს ეს დახმარება და შეასრულოს თავისი მოვალეობა.

ხალხი ჯერ ვერ იჩენს ამდენ საქმიანობას, საზოგადოებრივ უნარს. ვერ იჩენს ვერც შეგნებულ ნდობას, ეშინია,—ვაი თუ ფული დაიკარგოსო. აქ ყველას, თუ ჯიბეში არა, უმეტესობას მაინც, ურჩევნია თავ თავისობა. ფულს ჯიბიდან მაშინ გამოიღებენ, როცა დაინახავენ მოტანილ საქონელს. ვაჭრების მოჯადოებული რკალი. ერობას სიმინდი ვერ მოაქვს, რადგან საკმაო ფული არ აქვს, ხალხს ფული არ მოაქვს, რადგან სიმინდს ვერ ხედავს ბაზარზე, ხალხი საყვედურს უყენებს ერობას და არ უმხელს თავის თავს, რომ თითონაც არის დამნაშავე.

ეს ჩატეხილი ხიდი უნდა გამთელდეს. ბოლშევიკური სიჩქარით ჩვენ აქ ვერ ვიმუშავებთ. სოფელი წვრილ მესაკუთრული გრძნობებით არის გაჟღენთილი, აქ ჯერ ყველას თავ-თავისი შემოღობილი და შემოფარგლული საქმე ურჩევნია. ასე მალე ვერ შევათვისებინებთ საზოგადოებრივ გრძნობებს. რომ კითხოთ ახლა აქ-იქ,—როგორ გირჩევნიათ, კერძო ვაჭრებმა მოიტანონ ხოლმე სიმინდი თუ ერობამ,—გეტყვიან, კერძო ვაჭრებმაო.

რა თქმა უნდა, თავისუფალ მეტოქეობას აქვს დადებითი მნიშვნელობა. რაც მეტია ბაზარზე საქონელი, იმდენათ ის იაფია: მაგრამ არის დიდი უარყოფითი მხარეც. კერძო ვაჭრებში, ვისაც მეტი ფული აქვს, ის მეტ საქონელს ჩაიგდებს ხელში. ვინმე მსხვილ ფულიანი წვრილ ვაჭრებს შემოიკრებს, შეიძენს სიმინდს სხვა და სხვა ადგილას, შეინახავს და ისე ასწევს ფასს, რომ ხელმოკლე სოფლელებისათვის მიუწვდომელი იქნება. ამისთანა მეტოქეობა მალე გამოუთხრის ძირს ყოველ ნაირ თვითმმართველობას და კერძო [illegible] ერობასაც დემოკრატიულ წესწყობილებას გამოეცლება მთავარი საძირკველი.

ერობამ ამ ეკონომიურ საკითხში უნდა გამოიჩინოს, რაც შეიძლება მეტი საქმიანობა. ხალხი ყველაფერს აპატიებს ერობას, არ აპატიებს მხოლოდ გულგრილობას და მოუხერხებლობას შიმშილობასთან ბრძოლაში. ერობა ჯერ სუსტია ქონებრივად და მარტო თავისი ძალღონით ვერ შეასრულებს იმ დიდი საქმის მოწესრიგებას, უნდა მოძებნოს ამისთვის თანამშრომლები, გზა უნდა მისცეს კერძო ინიციატივას, გადასცეს ხოლმე სურსათის შესაძენათ გამოცდილი პირები. რასაკვირველია ეს პირები თავისთვისაც უნდა ხედავდნენ სარგებლობას. მოწესრიგებული კერძო ვაჭრო-

დღე

სან-რემოს კონფერენციაზე სავსებით გადასინჯული იქნება გერმანიის საზავო ხელშეკრულება.

ფრანგული ცნობით გერმანიაში წესრიგი თითქმის ყველგან აღდგენილია. რურის ოლქში წესრიგი თანდათან მყარდება.

საფრანგეთში არსებული იტალიის საელჩო უარყოფს გავრცელებულ ხმებს, თითქოს იტალია-ავსტრია-გერმანიის დაახლოვების შესახებ.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პარიზს ჩავიდა.

ყაზახში მოხდა სომეხ-თათართა შეთანხმება.

ბა ცრიაბას ვერ გაუწევს მეტოქეობას. ნამდვილ მეტოქეობას მაშინ გაუწევს, როცა ცრიაბა კერძო მოვაჭრეს სულ არ მიიკარებს, მარტო თითონ იკისრებს ამ მეტად მწვავე საკითხის გადაჭრას და ვერ გადაჭრის კი. ხალხი მაშინ მხარს აუბამს თავის დემოკრატიულ ორგანიზაციას და მოიცილებს კერძო, ვაჭრებისა და სპეკულიანტების საქმის დაკავებას.

ამაზე ეხლა ბევრს ლაპარაკობენ სოფლებში, მდგომარეობა ძალიან გამწვავებულია. ერობამ უნდა გამოიჩინოს გმირული ენერგია, რომ ამ სუსტიერ განწყობილებას ბოლო მოუღოს, ხალხში ნდობა მოიპოვოს და [illegible] ჩამოქილდებული არ დარჩეს.

პირველი: გაზეთმა მშვენივრად იცის, რომ ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებზე [illegible], მათ მთავრობებს „ხმლის საშუალებით“ სურდათ სადავო საკითხების გადაწყვეტაო; მან კარგად იცის, რომ საქართველო მთელი თავისი ძალღონით ეწინააღმდეგება ამ მეთოდს და „ხმალი“ ბოლოს მხოლოდ 4—5 დღის დაგვიანებით მას შეუდგა, როდესაც მას მუხანათურად შემოესივნენ საზღვრებში. მეორე: საინტერესოა „Набат“-ის პუბლიცისტებმა აუხსნან თავის მკითხველებს, რას ნიშნავს ეს ზღაპარი—„ქართველთა და [illegible] ომი“, იქნება ეს საზიზღარი ჭორი იმის დამამტკიცებელია, რომ „მგელს რაც ესიზმრება, ის ელანდება“?

პრესა

თბილისში რუსულ ენაზე გამოდის კვირეული გაზეთი „Нобатъ“ ამ გაზეთის ყველა წერილები სომეხ-თათართა ურთიერთობას ეხება. მოწინავე წერილი ამ სიტყვებით თავდება:

„მთელი ჩვენი მიდგომილობით და პატიოსნებით ჩვენ უნდა შორს გადავისროლოთ ყველა მოსაზრებები გარდა ხალხის ბედნიერებისა. ჩვენ უნდა დღის სინათლეზე გამოვფინოთ და ზედმიწევნით შევისწავლოთ ეგრეთ წოდებული „სადავო“ რაიონების სხვადასხვა პირობები რაც უნდა სასტიკი იყოს სიმართლე, იგი უნდა გამოაშკარავდეს, რადგან ის იქნება თავდები ამიერ-კავკასიის ყველა საკითხების მშვიდობიანად მოგვარებისა“.

გაზეთი, როგორც ხედავს მკითხველი, ლაპარაკობს „სიმართლის“ საჭიროებაზე, „რაც უნდა სასტიკი იყოს იგი“. მაგრამ ამავე მოწინავეში მკითხველი ასეთ სტრიქონებს შეხვდება:

„ახლად დაარსებული რესპუბლიკების მთავრობებმა იმაზე კარგი ვერა იფიქრეს რა, რომ სადავო საკითხები ხმლის საშუალებით გადაეჭრათ.

წამებული ხალხები, რომლებმაც ახლახან დაასრულეს მსოფლიო ომი გადასროლილ იქნენ ახალ, ამ შემთხვევაში ათასჯერ უფრო დამღუპველი საერთაშორისო ომის ტალღებში.

სომეხთა და ქართველთა, ქართველთა და აჭარელთა და ხომეხთა და თათართა ომის საშინელი ფურცლები მძიმე კოშმარით დარჩება დიდ ხნით ჩვენ მომავალ თაობას“.

ამ პატარა ამონაწერში უკვე ორი დიდი ტყუილია, უკვე ორჯერ არის ფეხქვეშ გათელილი ის „სიმართლე“, რომლის სახელითაც ასე კარგი სიტყვებია დახარჯული წერილის ბოლოში.—

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია

სომეხ-თათართა შეთანხმება ყაზახში.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციამ შემდეგი დეპეშა მიიღო უზუნტალადან 19 აპრილს: ამით ვაცნობთ თბილისის საზავო კონფერენციას, რომ 18 აპრილს სადგ. უზუნტალაზე აზერბეიჯანის,—ყაზახის მაზრისა და სომხეთის,—დილიჯანის მაზრის წარმომადგენლები სამოლაპარაკოთ შეთანხმდნენ საზღვრებზე სისხლის ღვრის შეწყვეტისა და ლტოლვილების უკან დაბრუნებაზე: ოვანეს ჯაგეტიანი, [illegible] მურადოვი.

ყაზ. [illegible] დეპეშა.

ამიერ კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენციის თავმჯდომარეს ე. პ. გეგეჭკორს 18 აპრილს, ბაქოსა და ერევანში აზერბეიჯანის და სომხეთის მთავრობათა თავმჯდომარეებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „პატივი მაქვს გაცნობოთ აზერბეიჯანის, სომხეთის და საქართველოს რესპუბლიკათა კონფერენციის კომისიის რეზოლუცია, რომელმაც ყაზახის რაიონი ინახულა. იმ მიზნით, რომ მომავალში ყაზახის რაიონში შეწყდეს სისხლის მღვრელი შეტაკებები, კომისია აუცილებლად სთვლის ზემო აღნიშნულ რაიონში აღდგენილ იქნეს ის ფაქტიური მდგომარეობა, რომელიც არსებობდა შეტაკებამდე და მცხოვრებთ მისცენ საშუალება თავიანთ ადგილებზე დაბრუნებისა. ამასთანავე კონფერენციამ გამოსთქვა სურვილი, რომ კომისიის დადგენილების ცხოვრებაში გატარება ადგილობრივ ძალებს დაევალოს.

10 აპრილის სხდომა

თავმჯდომარეობს ე. პ. გეგეჭკორი. დამსწრენი: საქართველოდან: საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი, სამხედრო მინისტრი ლორთქიფანიძე. სომხეთიდან: სომხეთის პარლამენტის უფროსი წევრი მამიკონიანი, სომხეთის უფრ. დიპლომ. წარმ. ბეკზადიანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ოგანჯანიანი, სომხ. პარლ. წევრი ბახტურიანი. აზერბეიჯანიდან: აზ. პარლ. წევრი აღაევი, უფრ. მინისტრის ამხ. კრიჩინსკი, საქარ. მუდმ. დიპლ. წარმომადგ. ვექილოვი.

სხდომა იხსნება საღამოს 9 საათზე. კითხულობენ პირველი სხდომის ოქმს. აგაევი: ხომ არავის სურს ამის შესახებ აზრი გამოსთქვას? კრიჩინსკი. მე კიდევ აღვნიშნავ, რომ ჩვენ როგორც პირველ, აგრეთვე მე-2 სხდომაზე ვაცხადებდით, რომ აზერბეიჯანის დელეგაციას პრინციპიალურად არაფერი აქვს საწინააღმდეგო სომეხთა და მუსულმანთა შორის შეტაკების მოსპობის საკითხის დასმისა, მაგრამ ჩვენი მთავრობისაგან არა გვაქვს რწმუნებულება ამის შესახებ მოლაპარაკება გაწარმოოთ. ლორთქიფანიძე: ამ შემთხვევაში ოქმი მე სრულიად არ მიმაჩნია. ამიტომ აუცილებლად ვსთვლი, რომ იგი შევსებული იყოს. გეგეჭკორი: მე ვიზიარებ ლორთქიფანიძის აზრს. საერთო სურვილის თანახმად პრეზიდიუმს ევალება 9 აპრილის სხდომის უფრო დაწვრილებითი ოქმის შედგენა. აგაევი: რადგანაც ჩვენი მთავრობისაგან ჯერ პასუხი არ მიგვიღია, ამიტომ წინადადება შემომაქვს შემდეგი სხდომების დღიური წესრიგის შემუშავების შესახებ: თუ დამსწრეთათვის ეს მისაღებია, გთხოვთ წინადადება შეიტანოთ. ოგანჯანიანი: რადგანაც აზერბეიჯანის მთავრობის პასუხი არა გვაქვს და შეუძლებელია უფრო მნიშვნელოვანი საკითხების განხილვას შევუდგეთ, ამიტომ რა თქმა უნდა, უნდა დავსახოთ საერთო დღიური წესრიგი. გეგეჭკორი: ჩვენ ჯერ ჯერობით სამი ძირითადი საკითხი გვაქვს: 1) ტერიტორიალური, 2) ნაბიჯების შეთანხმება საგარეო პოლიტიკაში სამი რესპუბლიკისა და 3) კონფედერაციის შესახებ. ტერიტორიალური საკითხის გადაწყვეტა სამი რესპუბლიკის საერთო კონფერენციაზე შეუძლებელია. ტერიტორიალური დავა არის სომხეთსა და საქართველოს, სომხეთსა და აზერბეიჯანს შორის და ამიტომ მათი გადაწყვეტა ერთმანეთს შორის უნდა მოხდეს. როდესაც საქართველოს დელეგაციამ ეს საკითხი წამოაყენა, მას მხედველობაში ჰქონდა უფრო პოლიტიკური მხარე, ვიდრე დეტალები საზღვრებზე დავის შესახებ. ამ დავათა მიზეზი არის მხარის ეტნოგრაფიული რთული და ამიტომ ამ საკითხის გადაწყვეტის საფუძვლათ უნდა მივიღოთ მცხოვრებთა ერთი რესპუბლიკიდან მეორე რესპუბლიკაში გადასახლება და ამგვარათ, ერთი რესპუბლიკის მცხოვრებთა საზღვრებში—ერთგვარი მასის შექმნა, რაც დაამშვიდებს ქვეყანას და ბოლოს მოუღებს შეტაკებებს. ჩვენ მხედველობაში არა გვაქვს ეს საკითხი კონკრეტულად დავსვათ, მაგრამ წინადადებას ვიძლევით გადავწყვიტოთ იგი პრინციპიალურად და ჩვენ ამ მხრივ რაიმე შეთანხმებას მივაღწევთ ამით დიდ ნაწილს დავადგენთ. ჩვენი მთავრობის შეთანხმების წინადადებით ჩვენ გვსურს შევქმნათ მთლიანობა სურვილისა და პოლიტიკური ნაბიჯებისა, რასაც რესპუბლიკების დამოუკიდებლობათა განმტკიცების საქმის წინ წაწევა შეუძლია. რაც შეეხება კონფედერაციის საკითხს, ეს ჯერ ნაადრევია. რასაკვირველია, პრაქტიკულ თვალსაზრისით, რადგან პრინციპიალურად ჩვენ მისი მომხრენი ვართ. ჩვენ რომ წინასწარ შევძლოთ ზოგიერთი პირობის შექმნა კონფედერაციის იდეის განსახორციელებლად, ჩვენ მაშინ შევთანხმდებოდით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უკვე შეუდგა შეთანხმების რეალურ ფორმებს და ჩვენ აზერბეიჯანთან და სომხეთთან სატრანზიტო ხელშეკრულება უკვე გვაქვს, აზერბეიჯანსა და სომხეთს კი ამგვარი ხელშეკრულება ერთმანეთშორის არა აქვთ. ამ გვარად, ცალცალკე რესპუბლიკათა მაქმედების შეთანხმება და მუშაობა თავის შედეგში მოგვცემს კიდეც ნაყოფს ერთმანეთის დასაახლოვებლად. აი მოკლედ, თუ როგორ გვესმის ჩვენ კონფერენციის საერთო პროგრამა. მამიკონიანი: მე არ ვყოფილვარ პირველ სხდომაზე და არ ვიცი, თუ როგორ იყო იქ დასმული საკითხი. რასაკვირველია, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს გაუზიაროთ შეხედულება დღის წესრიგის შესახებ და აგრეთვე მაზე, რაც ამ საკითხთან არის დაკავშირებული, მაგრამ რადგან ჩვენ ერთსა და იმავე თვალსაზრისს ვადგევართ, რომ შეტაკების შეუწყვეტლად არ შეიძლება ორგანიული მუშაობის დაწყება. კონფერენციამ უნდა ხაზი გაუსვას ამ მდგომარეობას და გადასდოს ყველა ამ საკითხების გადაწყვეტა იმ დრომდე, სანამ ეს მთავარი საკითხი არ გადასწყდება. ბეკზადიანი: მე ვფიქრობ, რომ კონფერენცია თავის თავის წინააღმდეგობაში არ უნდა ჩავარდეს; პირველ სხდომაზე ჩვენ ყველა შევთანხმდით, რომ ზარბაზნის გრიალის დროს არ შეიძლება ნაყოფიერი მუშაობა. ჩვენ ამ მდგომარეობას გვერდს ვერ ავუვლით და ჩვენ ბოლომდე უნდა წავიდეთ, ე. ი. უნდა მოვუცადოთ პასუხს, ამ მთავარი საკითხის გადასაწყვეტათ და კონფერენცია მე მგონი დაამცირებდა თავის ავტორიტეტს, სხვა გვარათ რომ მოქცეულიყო და საერთოდ მე, რასაკვირველია, არაფერი საწინააღმდეგო არ მექნებოდა, რომ ჩვენ ეხლა დღის წესრიგზე ვილაპარაკოთ, როგორც ამის წინადადებას ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი იძლევა: აგაევი: თუ საწინააღმდეგო არავის არ აქვს, მაშინ ჩვენ აღვნიშნავთ კონფერენციისათვის დღის წესრიგს. წინადადებას იძლევიან შეწყდეს სხდომა აზერბეიჯანის მთავრობის პასუხის მოლოდინში. აგაევი: სხდომას დახურულად ვაცხადებ.

გეგეჭკორი ე. პ. ამდენ ხანს აზერბეიჯანის მთავრობის პასუხი არ არის. მე ჯერ კიდევ გუშინ საქართველოს დელეგაციის სახელით განვაცხადე რომ პირველი საკითხი, რომელიც ჩვენს კონფერენციაზე უნდა განიხილოს—ეს არის სამხედრო მოქმედების შეწყვეტა და ამასთან ერთად ნათქვამია, რომ თუ კონფერენციამ ეს ვერ გადასწყვიტა, ეს ნიშნავდა ამიერ-კავკასიის კონფერენციის პრესტიჟის დაცემას. მე დღეს თქვენ მოხსენება გაგიკეთეთ, რომ მხოლოდ საშინელმა აუცილებლობამ ჩააყენა ამიერ კავკასიის კონფერენცია ამგვარ შეუფერებელ მდგომარეობაში და მე მგონია, რომ ყოველივე საშუალება უნდა ვიხმაროთ მიზნის მისაღწევად და ჩვენი სხდომა ხვალამდე გადავდოთ. ჩვენ თანახმა ვართ, თუ სომხეთის დელეგაციას არაფერი საწინააღმდეგო აქვს, მაშინ ჩვენ მოვიცდით წინადადება მიღებულად გამოვაცხადოთ. სომხეთის დელეგატები წინააღმდეგნი არ არიან. შემდეგი სხდომა 11 აპრილს, შუადღის პირველ საათისთვის არის დანიშნული.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

20 აპრილი.

ბოლშევიკების ამბები.

კომუნისტური „სუბოტნიკი“.

ორენბურგი. რკინის გზის კვანძის ცუდი მდგომარეობის გამო ადგილობრივ პირველ დღეს მოიწვიეს კომუნისტური „სუბოტნიკი“. დღესასწაულზე მუშაობამ არაჩვეულებრივი რევოლიუციონური სულის ამაღლება გამოიწვია და მშვენიერი შედეგებიც მოგვცა.

გაფიცვები ამერიკაში.

რეველი. 17 აპრ. ამერიკაში რკინის გზელთა გაფიცვა თანდათან იზრდება. ნიუ-იორკში ჰუდსონ-სანოვაგის მხრივ მდგომარეობა მეტად გაცუდდა. მთავრობა გაფიცულებს ებრძვის, მათ ხელმძღვანელებს აპატიმრებს.

ამერიკული ცნობები.

თუმცა სან-რემოს კონფერენციის უმთავრესად პრობლემათ ოსმალეთის ბედი იქნება, მაგრამ კონფერენციაზე ამასთანავე დიდ ყურადღებას მიაქცევენ გერმანიასაც მთელი ხელშეკრულება კვლავ იქნება გადასინჯული.

ლონდონის რადიო-სადგურიდან

გერმანიის შიში.

გაზ. „პტი-პარიზიენის“ ლონდონის კორესპონდენტი სწერს: გერმანიის რწმუნებულისადმი მიმართულ ლორდ კერზონის მოწოდებამ იმის შესახებ, რომ გერმანია აიძულონ ხელშეკრულობის ყველა პირობების ასრულებაზე, ინგლისში კმაყოფილება გამოიწვია.

იმ დრომდე სანამ გერმანიას საკმარისი სამხედრო მასალა აქვს, საფრანგეთი იძულებულია მეტი ჯარი ჰყავდეს, ვიდრე ეს მშვიდობიანობის დროს არის საჭირო.

ფრანგული ცნობები.

გერმანიაში

ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიაში მდგომარეობა უმჯობესდება. წესრიგი თითქმის სრულიად აღდგენილია.

რურის ოლქში წესრიგი თანდათან მყარდება.

ხმების უარყოფა.

იტალიის საელჩო უარყოფს ხმებს იტალია-ავსტრია-გერმანიის დაახლოვების შესახებ. კანცლერ რენნერის რომში წასვლის დროს, ვენის ზოგიერთი პრესა იუწყება ვენასა და ბერლინის შუა მოლაპარაკება დაიწყო, რომ ამ სამი ქვეყნის დაახლოვება განახორციელდესო. იტალიის საელჩო კატეგორიულად აცხადებს: ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

პოლონეთის მინისტრი პარიზში.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პატეკი კვირას პარიზს ჩავიდა.

უცნობი რადიო სადგურიდან.

(ინგლისურ ენაზე)

ხელშეკრულობის [illegible]

(დასაწყისი არ მიგვიღია). თანაგრძნობით რა ინგლისის მთავრობის მოწოდებას ლმობიერებისადმი ჩვენ არ შეგვიძლია ლმობიერება არ გამოვიჩინოთ აგრეთვე უნგრეთის საბჭოთა მთავრობის ყოფილ წევრების მიმართ, ჩვენ ყოფილ მოკავშირეების მიმართ, რომლებიც ეხლა ავსტრიაში არიან დატყვევებულნი (დაპატიმრებულნი).

რუსეთის მთავრობა იმ აზრის არის, რომ ამ საკითხის გადატანა უკეთესად შეიძლება მიღწეულ იქნეს ლონდონში ჩვენი წარმომადგენლის ლიტვინოვის ინგლისის მთავრობასთან პირდაპირ მოლაპარაკებით. ჩვენ, დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოლაპარაკება მოგვცემს სასურველ შედეგებს, რომლიც რუსეთისა და ინგლისისათვის სასარგებლო იქნება. სახალხო კომისარი ჩიჩერინი.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 ს. დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. თბილისის კომიტეტის სხდომა.

◆ გორის სოციალ-დემოკრატიულმა სამაზრო კონფერენციამ მისალმების დეპეშები გაუგზავნა დამფუძნებელ კრებას, მთავრობას და საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტს.

◆ საიდუმლო სტამბა. მე-7 კომისარიატის მილიციონერებმა და საგანგებო რაზმის თანამშრომლებმა შეიპყრეს ვინმე თარხანოვი, რომელსაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდა საბეჭდი ხელის მანქანა, ორი ფუთი შრიფტი, დაბეჭდილი ქაღალდები და სხვა მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებისა და ლიტერატურის დასაბეჭდათ საჭირო მასალები.

◆ სახელმწიფო თეატრი. დღეს ხაირის სამეგობროსთვის სტარასტინას, ზალიპსკის, საბინინის და სხვათა მონაწილეობით—„ლაკმე“.

◆ პირველი მაისისათვის. პირველი რაიონის სამაისო კომისია იწვევს ხუთშაბათს საღამოს 4 საათზე კოლექტივის ბინაზე ნაძალადევის თეატრში გაფართოებულ კრებას. სადაც უნდა გამოცხადდენ ხსენებული კომისიის ყველა წევრი. მოვაგონებთ რაიონებს და ქვე კოლექტივებს, რომ მათი წარმომადგენლის დასწრება აუცილებელია. დრო ცოტა და დარჩა, საქმე კი—ბევრია. ხუთშაბათის კრებაზე უნდა შემუშავდეს პროგრამა მაისობისა პირველ რაიონისათვის. იქნება მოხსენება ცენტრალური სამაისო კომისიისაგან და დანაწილდება მუშაობა. სამაისო კომისია.

◆ ქალაქის საბჭო. 19 აპრილს ალ. ლომთათიძის თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. სხდომას დაესწრო 68 ხმოსანი. განსახილველი იყო საკითხი საფუთო გადასახადის შესახებ. თავმჯდომარემ მოახსენებს სხდომას, რომ 15 მარტის საბჭოს დადგენილება საფუთო გადასახადის შემოღების შესახებ არ არის კანონიერი, ვინაიდან მაშინ სხდომას არ დასწრებია ამ საკითხის გადასაწყვეტად ხმოსანთა საკმაო რიცხვი. სოც. დემოკრ. ფრაქციის წინადადებით საბჭომ ერთხმად მიიღო 15 მარტის დადგენილება: შემოღებულ იქ-

ეროვნულ უმცირესობათა უფლებების უზრუნველყოფა*)

5. შინაგანი წინააღმდეგობა ექსტერიტორიულ ავტონომიისა.

ა) სუბიექტური ხასიათი „ეროვნებისა“.

პირველ ყოვლისა კავშირის აღჭურვა საჯარო უფლებით გულისხმობს, რომ ეს კავშირი იძულებით არსდება თვით სახელმწიფოს მიერ ისევე, როგორც ყოველივე სახელმწიფო ხასიათის დაწესებულება. სახელმწიფომ უნდა იზრუნოს, რომ ამა თუ იმ ეროვნულ კავშირში შესული დაეკავშირონ მოქალაქენი განსაზღვრულ კატეგორიას, რომლებსაც ეკუთვნის ერთ და იმავე ეროვნებასთან მიკუთვნება. სახელმწიფო მხოლოდ თვითონ ქმნიდეს საჯარო უფლებით აღჭურვილს ეროვნულ კავშირებს, ამისათვის თითონ უნდა იწვევდეს მათი წევრთა რეგისტრაციას, ამ წევრთა ეროვნულ ვინაობის გამორკვევას. ასეთია აზრი, რომელიმე კავშირის აღჭურვისა საჯარო უფლებებით. მაგრამ აქვე იბადება დაუძლეველი დაბრკოლებები, რომლებსაც ვერ უმკლავდებიან თვით პერსონალური პრინციპის მომხრენი. სახელმწიფოს ყოველსავე განკარგულების განხორციელებისათვის საჭიროა ჯერ იმის გამორკვევა, თუ ვის ეხებიან ეს განკარგულებები, ვინ არის ვალდებული, რომ ამ განკარგულებას დაემორჩილოს. საჭიროა, მაშასადამე, გამოირკვეს და განისაზღვროს ეროვნული კავშირის შემადგენლობა.

ვინ შევა ამა თუ იმ ეროვნულ კავშირში? სავალდებულოა, იძულებითია, თუ არა მათში შესვლა და თუ სავალდებულოა, თუ იძულებითია,—(რაც თავის თავად იგულისხმება საჯარო უფლების მინიჭებიდან)—ვისთვის? სად არის ის ნიშანი, რომლითაც ესა თუ ის მოქალაქე ვალდებული უნდა წევრათ იყოს ამა თუ იმ ეროვნულ კავშირის, ერთის, და არა მეორის, ეროვნულ ორგანიზაციისა?

იტყვიან, ეს ნიშანია ეროვნებაო. მაგრამ რა არის ეროვნება? რა ნიშნით უნდა გავარჩიოთ, ვინ არის ქართველი, ვინ სომეხი, ვინ რუსი, ვინ თათარი და სხვ.? გადავიკითხოთ ყველა ავტორები ნაციონალური საკითხის შესახებ და დავრწმუნდებით, რომ ვერც ერთმა მკვლევარმა ვერ გამონახა ვერავითარი ობიექტური ნიშანი ეროვნებისა.

გრძელი და საფუძვლიანი კვლევის შემდეგ ოტტო ბაუერი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „ნაცია“, „ეროვნება“ არ არის ერთხელ და სამუდამოთ ჩამოყალიბებული და შეკრებული მოვლენა. იგი ისტორიულად იცვლება, ამ მცნებაში სხვადასხვა ელემენტები შედიან და ერთი მეორის ადგილს იჭერენ. „ჩვენ წარმოდგენილი გვაქვს „ნაცია“ არა როგორც გაყინული, ერთხელ და სამუდამოთ მოცემული რამ, არამედ როგორც შეუწყვეტელი პროცესი ქმნისა; ამ ქმნის პროცესს საძირკვლად უდევს ის გარემო პირობები, რომელშიაც ხალხი ეწევა ბრძოლას არსებობისთვის და შთამომავლობის განგრძობისთვის“ *) „ნაციონალური ხასიათის ერთიანობის შეგნება“, რომელიც ისტორიულ წარსულზე და საერთო კულტურაზე დამყარებული, აი რა ქმნის, ოტტო ბაუერის აზრით, ეროვნებას.

სუბიექტური განმარტებას აძლევს სიტყვა „ეროვნებას“ რ. შპრინგერიც. მისი აზრით „ეროვნება—ეს არის თანამედროვე ადამიანების კულტურული ერთობა“ *).

კაუცკის აზრით, თუმცა „თანამედროვე ეროვნება“ წარმოიშვა უმთავრესად ეკონომიური ფაქტორების გავლენით, მაგრამ იმ ხანგრძლივმა არსებობისთვის ბრძოლამ, რომლის ერთ-ერთი ნაყოფი იყო ეროვნების წარმოშობა, „ბრძოლამ სხვადასხვა ეროვნებათა შორის საზღვრების გამაგრებისთვის და უზრუნველყოფისთვის, ბრძოლამ სხვა ერის მიწისათვის და უპირატესობისათვის, თვით ერის არსებობისათვის ბრძოლამ... შექმნა სხვადასხვა ეროვნებათა განსაკუთრებული ტრადიციები, ერთის მხრით ნათესაური გრძნობა, გრძნობა თანამოძმეთან კავშირისა, მეორე მხრივ მტრული განწყობილება საზღვარგარეთ მეზობლებისადმი. ეს გრძნობა თითქმის ინსტინქტათ გადაიქცა, წინასწარ განწყობილებით, რომელიც მამიდან შვილზე გადადის; და სულ პატარა საბაბია საკმარისი, რომ ამ გრძნობამ მთელის სიძლიერით იფეთქოს. ისე რომ ეს ნაციონალური გრძნობა გახდა ფაქტორათ, რომელიც მოქმედებს სრულიად დამოუკიდებლათ, ეკონომიური განვითარებისაგან დამოუკიდებლათ, ზოგიერთ პირობებში ეკონომიური განვითარების საწინააღმდეგოდ კი“ *).

ასეთსავე სუბიექტურ ნიშნებით განმარტავს „ნაციის“, „ერის“ მცნებას ერნესტ რენანი: ეროვნება, მისი სიტყვით, „არის დიდი სოლიდარობა, რომელიც შენდება მსხვერპლის გრძნობაზე, რაც ხალხს წარსულში შეუწირავს და რასაც იგი ხალისით შესწირავს მომავალშიაც“ *).

როგორც ყველა ამ განმარტებიდან სჩანს, ეროვნებას საფუძვლად უდევს „შეგნება“, „გრძნობა“, „სოლიდარობა“, „ტრადიცია“, ყველა ეს ნიშნები წმინდა სუბიექტური ხასიათისაა, რასაც პირდაპირ აღნიშნავს პროფ. იელლინეკი: ეროვნებას, მისი განმარტებით, ქმნის „სუბიექტური შეგნება ადამიანებისა, რომლებიც გრძნობენ და თავის თავს სთვლიან ამა თუ იმ ერის შვილად“.

სახელმწიფოსათვის შეუძლებელია, რომ ამნაირი სუბიექტური, პიროვნების შეგნებისაგან დამოკიდებულ, და ამის გამო მერყევ და ცვალებად საძირკველზე თავის საჯარო უფლებრივი კავშირები, ე. ი. სახელმწიფოებრივი დაწესებულებები, სახელმწიფო მექანიზმის ორგანოები, აგოს. ეროვნულ კავშირში უნდა შევიდეს ის, ვინც თავის თავს სთვლის სწორედ ამ ეროვნების და არა სხვის წევრად. ასეთი შეგნება კი ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მიუხედავათ იმისა, თუ რა ჩამომავლობისა, რა სისხლისა, რა გვარტომობისაა იგი, მიუხედავათ იმისა, თუ რომელი ენაა მისი მშობლიური ენა, მიუხედავათ სარწმუნოებისა, ტერიტორიისა და ყველა იმ ნიშნებისა, რომლებიც ჩვეულებრივად ეროვნების საფუძვლად მიაჩნიათ.

სახელმწიფოს ხელთ არა აქვს არავითარი ობიექტური ნიშანი, რომლის საშუალებითაც შეიძლებოდეს ამა თუ იმ მოქალაქის ამა თუ იმ ეროვნულ კავშირში შეუმცდარათ ჩარიცხვა. მართალია და ვსთქვათ რომელიმე მოქალაქის გვარი „ძე“ ზე თავდება: რომელ ნაციონალურ კავშირს უნდა მივაკუთვნოთ იგი? გვარი ქართულია, მაგრამ შეიძლება მოქალაქე სომეხი იყოს თუ გვარის ყურადღებას არ მივაქცევთ და ენის მიხედვით ჩავრიცხავთ ამა თუ იმ ეროვნულ კავშირში, შეიძლება მისი დედა ენა რუსული, ან სხვა რომელიმე იყოს, გვარი ქართული, გვარტომობით და ჩამომავლობით კი იგი იყოს სომეხი. და ამნაირი მოქალაქე ერთი და ორი კი არ იქნება, არამედ მრავალი ათასობით და სახელმწიფომ რომ მოინდომოს ყოველ მოქალაქეს იძულებით მიუჩინოს ესა თუ ის ეროვნული კავშირი, მას დასჭირდება ისეთი რთული ბიუროკრატიის წარმოება, რომელსაც ვერავითარი სახელმწიფო აპარატი ამას ვერ გაუძლებს: სახელმწიფო იძულებული გახდება თავისი ენერგიის უდიდესი ნაწილი მოახმაროს მოქალაქეთა გვარტომობის გამორკვევას და მისთვის სათანადო კავშირის მიჩენას. და რაც უნდა დიდი ენერგია დახარჯოს მან, მაინც ვერ მიაღწევს თავის მიზანს და ვერ უპოვის ყოველ მოქალაქეს სათანადო ეროვნულ კავშირს. ეს შრომა სახელმწიფოს მხრით სრულიად უნაყოფო და სრულიად უაზრო იქნება გაწეული.

ბ) ნებაყოფლობითი შესვლა და გამოსვლა.

რომ სახელმწიფოსათვის შეუძლებელია საჯარო-უფლებრივი დაწესებულება შექმნას იმისთანა გამოურკვეველ, ცვალებად და სუბიექტურ განწყობილებასთან კაცის გუნებასთან დაკავშირებულ ნიადაგზე, როგორიც არის ეროვნული შეგნება, ეს იმდენათ ცხადია, რომ ამის წინააღმდეგ არც იბრძვიან თვით პერსონალურ ავტონომიის დამცველები. ისინი არც მოითხოვენ, რომ ეროვნულ კავშირების დაარსება ხდებოდეს იძულებით, სახელმწიფოს მიერ. პირიქით, ისინი ამას გადაჭრით ეწინააღმდეგებიან და ეროვნულ კავშირების დაარსებაში მხოლოდ ნებაყოფლობითი პრინციპი მიაჩნიათ მისაღებად. დაარსება, შექმნა ეროვნულ კავშირებისა თავისუფლად სახელმწიფოს ჩაურევლად ხდება. მხოლოდ როცა ისინი უკვე შექმნილი არიან, სახელმწიფო საჯარო უფლებას ანიჭებს მათ.

ოტტო ბაუერი იმ აზრისაა, რომ ეროვნულ კავშირების შედგენა უნდა ხდებოდეს მოქალაქეთა სურვილის მიხედვით „თავისუფალი აღიარების გზით“. სახელმწიფოსათვის შეუძლებელია ყოველ ცალკე მოქალაქეს მიუჩინოს მისი „ეროვნული [illegible]“, მისი საქმე არ არის გამორკვევა იმისა, თუ ვინ რა ეროვნებისაა:“

„პერსონალური პრინციპი გულისხმობს, რომ მცხოვრებნი განიყოფებიან ეროვნების მიხედვით. მაგრამ სახელმწიფოს არ შეუძლიან გადაწყვიტოს, ვინ უნდა სთვალოს თავისი თავი გერმანელად, ვინ ჩეხად. ყოველს სრულწლოვან მოქალაქეს უნდა იმის უფლება მიეცეს, რომ თითონვე გამოარკვიოს, რომელ ეროვნებას ეკუთვნის იგი. სრულწლოვან მოქალაქეთა ამნაირი თავისუფალი აღიარების ნიადაგზე უნდა დაიხაზოს ნაციონალური კადასტრები (სიები), რომლებშიაც ყოველი ეროვნების მოქალაქენი უნდა იყვნენ შეტანილნი რაც შეიძლება სრულად“ *)

თავისუფალი განცხადების პრინციპი პირველად პრაქტიკულად წამოაყენა ავსტრიელმა სოციალისტმა რ. შპრინგერმა და მის მიერ შემუშავებულ პროექ-

---

*) იხ. „ერთ.“ №№ 84 და 86

*) „Нац. вопр. и с. д.“ გვ. 124.

*) „Нац. проблема“ გვ. 43.

*) „Національность нашего вр.“ გვ. 37.

*) ლექცია: „რა არის ეროვნება“?

*) Нац. вопросъ и с.-д. 389.

ნას გაუქმებული სატუსაღო გადასახადი ყოველგვარ შემოტანილ და გატანილ საქონელზე, გადასახადი შემოღებული იქნება თფილისისა და ნავთლუღის სადგურებზე.

◆ **იუსტიციის სამინისტროში.** გორის ოლქის მომრიგებელი მოსამართლეთა ყრილობის თავმჯდომარე მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ამა წლის 30-ს და 31-ს ყრილობას დანიშნული ქონდა სესია დაბა ხოხბათურში. დანიშნული საქმეები ყველა გარჩეულ იქნა. უწყებები ყველა საქმეებზე ჩაბარებული იყო. ხალხი დიდი სიამოვნებით შეხვდა ადგილობრივ საქმეების გარჩევას.

თფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე მოახსენებს იუსტიციის მინისტრს, რომ ნაფიცი მსაჯულები გოლაშვილი, არუთინოვი და ბეგალიანი ნაფიც მსაჯულთა კრებაზე გამოუცხადებლობის გამო დაჯარიმებული არიან 350 მან. და სასამ. დებულ. 414 მუხლის მიხედვით პასუხის გებაში მიცემულნი.

◆ **დაბრუნდა თელავიდან** საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი ა. ხელაძე, რომელმაც კომიტეტის დავალებით შემოიარა მაზრის ეროვნული მამულები მუშათა ეკონომიური მდგომარეობის გამოსარკვევად და გააკეთა იქ მოხსენებები.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის** მიერ თავის პირველ განყოფილებაში. (ნაძალადევის მუშათა კლუბი) მოწვეულმა მრავალ რიცხოვანმა მუშათა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნაგი აკაკი ჩხენკელის ორ მოძმეთა შორის აზერბეიჯანის და სომხეთის ხოცვა-ჟლეტის შესახებ, სადაც იღვრება ორ დემოკრატიის შორის უმანკო და უმიზნო სისხლი; კრება გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას და მოუწოდებს თათარ-სომხის დემოკრატიას დაუყონებლივ შესწყვიტონ უაზრო და დემოკრატიის დამღუპველი ხოცვა-ჟლეტა. აგრეთვე კრება მოითხოვს საქართველოს დემოკ. რესპუბლიკის მთავრობისაგან მიიღოს ყოველგვარი ზომები ორ ერთა შორის სისხლის ღვრის დაუყონებლივ შესაწყვეტათ.

კრებები.

— ხუთშაბათს, 22 აპრილს, სრულ 6 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში, დანიშნულია მეოთხე რაიონის პარტიის წევრთა 15 აპრილის საზოგადო კრების გაგრძელება. გრძელდება პარტიული ყრილობის დღის წესრიგის განხილვა, მოხსენებას გააკეთებს ამხ. ნ. რამიშვილი.

— დღეს, საღამოს 7 ს. სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციის კრება. წევრების დასწრება სავალდებულოა.

მინისტრი ნ. რამიშვილი გორში

კვირას, 18 აპრილს გორს ესტუმრა შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრი ნ. ვ. რამიშვილი რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის თანაშემწის ივ. ქარცივაძის თანხლებით. მინისტრმა დაათვალიერა დანგრეული გორი. ჩამოიარა ყველა დაწესებულებები: სამაზრო ერობა, ქალაქის თვითმართველობა, გვარდიის შტაბი, მილიციის სადგომები და სხ. და ყველა დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ქონდა თათბირი გორისა და მაზრის მდგომარეობის შესახებ. როგორც გამოირკვა, გორის აღდგენისათვის მუშაობა უკვე დაწყებულა. ზოგიერთ ადგილას უკვე აუშენებიათ ხის შენობები. დაზარალებულები მოელოდნენ და უკვე ჩამოვიდნენ მიწის მზომელები და ტექნიკები, რომლებმაც უნდა დაზომონ და დაჰგეგმონ ის ადგილები, სადაც უნდა აშენდეს სახლები. ამგვარათ, სულ მოკლე ხანში დაიწყება მუშაობა ამ მხრივ. გორის ქალაქის თავმა გამგეობის და საბჭოს სახელით სთხოვა მინისტრს ნება დართოს მთავრობამ გორის აღდგენისთვის დაწესდეს ერთგვარი გადასახადი გორიდან გატანილ სატრანზიტო საქონელზე. მინისტრმა დახმარება აღუთქვა.

იმავე დღეს მინისტრი დაესწრო გორის მაზრის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის კონფერენციას, სადაც მოხსენება გააკეთა პოლიტიკურ მომენტზე და ცენტრალურ კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ.

19 აპრილს სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის ეზოში, სადაც შტაბის მიერ გვარდიის კულტურულ-განმანათლებელ სექციისათვის მოწყობილია საზაფხულო თეატრი, გაიმართა დიდი მიტინგი. მინისტრმა აქაც მოხსენება გააკეთა დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ, რაც ხალხმა გულდასმით მოისმინა და კმაყოფილი დაიშალა. საღამოს მატარებლით მინისტრი თფილისს გაემგზავრა. **№.**

მიმართვა

სახელმძღვანელოების ავტორებისა და გამომცემლებისადმი.

რადგანაც ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმს მიზნათ აქვს, თავი მოუყაროს სკოლაში და სკოლის გარეშე სახმარებელ გამოცემებს და მოაწყოს მათი მუდმივი გამოფენა, ამიტომ მივმართავ სახელმძღვანელოების ავტორებს და გამომცემლებს თხოვნით, რომ თითო ან ორ-ორი ცალი თავიანთი გამოცემებისა დაუთმონ მუზეუმის ბიბლიოთეკას.

მუზეუმის დირექტორი პროფ. აღ. ჯავახიშვილი.

უცხოეთი

რუსეთი.

სამხატვრო ღირებულებათა გაყიდვა. გაზ. „ტაიმს" ცნობით საბჭოთა მთავრობას გადაუწყვეტია გაყიდოს რამოდენიმე ათასი სურათი, ქანდაკება და სხვა მხატვრული ნაწარმოები პეტროგრადის საზამთრო სასახლიდან სახელმწიფოს ხარჯების დასაფარავად.

რუმინია.

ბესარაბიის შეერთება რუმინიასთან. რუმინიის პრემიერ-მინისტრმა პარიზიდან მიიღო უმაღლესი საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც ბესარაბია რუმინიას უნდა შეუერთდეს. ახლო მომავალში განზრახულია ამ საკითხის შესახებ დადგენილი იქნეს განსაკუთრებული ხელშეკრულება. ბესარაბიის მცხოვრებთა საერთო სახელმწიფოებრივი და კერძო-მოქალაქეობრივი ინტერესები ისევე იქნება დაცული როგორც რუმინიის სხვა პროვინციების მცხოვრებთა ინტერესები.

შვეცია.

სოციალისტ-მინისტრი ბრანტინგი. პრემიერ-მინისტრმა ბრანტინგმა მთავრობის მიზნების შესახებ, სხვათა შორის, შემდეგი განაცხადა: მთავრობა განაგრძობს თავის მუშაობას სახელმწიფოს დემოკრატიულ საფუძვლებზე გარდასაქმნელათ. სოციალისტები დღეს იმიტომ კი არ შედიან მთავრობაში, რომ თავიანთი საკუთარი სოციალური პროგრამა განახორციელონ; მათ დღეს მიზნათ აქვს დასახული ხელი შეუწყონ მთავრობას იმეთ საქმეების გაკეთებაში, რაც აახლოვებს სახელმწიფოს დემოკრატიზაციას.

ოსმალეთი.

სტამბოლის გაზ. „იენი გიუნი." გადმოგვცემს რომ მოხალისეთა ჯარების მთავარი შტაბის გენერალი რომანოვსკი სტამბოლში რუსეთის საელჩოში მოჰკლა ორმა უცნობმა პირმა. გენერალ რომანოვსკისთან ამ დროს იმყოფებოდა გენერალი დენიკინიც. ბოროტმოქმედნი მიიმალნენ.

ამავე გაზეთის გადმოცემით გენერალი დენიკინი სტამბოლიდან ინგლისელთა გემით ლონდონში წასულა.

თურქული გაზეთი „ილერი" გადმოგვცემს, რომ მუსტაფა ქემალ-ფაშამ, რომელიც ანატოლიაში კამანდობს ეროვნულ ძალებს, შეწყვიტა ყოველგვარი კავშირი სტამბოლის მთავრობასთან. ამის გამო სულთანმა და ახალმა კაბინეტმა მუსტაფა ქემალ ფაშა ჩასთვალა მთავრობის მოწინააღმდეგეთა ხელმძღვანელათ და სულთანმა გასცა საპირო განკარგულება მის წინააღმდეგ.

გაზეთი „იკდამი"-ს გადმოცემით სტამბოლში მთავრობის კრიზისი უკვე დამთავრდა და დამად ფერიდ ფაშის მეთაურობით შესდგა ახალი კაბინეტი.

ამავე გაზეთის გადმოცემით ახალ კაბინეტის მოლაპარაკება ჰქონია პარლამენტთან, რომლის შინაარსი ჯერ ჯერობით დაწვრილებით გამორკვეული არ არის. გაზეთი იტყობინება, რომ მოსალოდნელია ახლო ხანში პარლამენტი დაითხოვონ.

ოსმალეთის ტახტის მემკვიდრე აბდულ მეჯიდ ეფენდი ინგლისელებმა გამოაცხადეს თავიანთ ზედამხედველობის ქვეშ. აღნიშნულ აბდულ-მეჯიდ ეფენდის ბრალდება მუსტაფა ქემალ-ფაშასთან კავშირის დაჭერა.

ოსმალეთის სტამბოლის მთავრობა უკვე შეუდგა ენერგიულ ზომების მიღებას მუსტაფა ქემალ ფაშას წინააღმდეგ.

როგორც ტრაპიზონიდან გვატყობინებენ მთელს ანატოლიაში მუსტაფა ქემალ ფაშას გამოუცხადებია მობილიზაცია 18—45 წ. ყველა მამაკაცებისა.

იქიდანვე იტყობინებიან, რომ მუსტაფა ქემალ ფაშამ მთელ ანატოლიაში დაარსა დროებითი მთავრობა, რომლის მეთაურათ თითონ ითვლება. („სახელ. საქ.")

პირველი მაისისათვის

(მოგონება)

1906 წლის თებერვლის პირველს, უნებურად გავუდექ საზღვარ გარეთის გზას. პირველათ ამოვყავი თავი ავსტრიის დედა-ქალაქ ვენაში... მარტში აქ გავხდი მოწამე ერთი დიდი პოლიტიკური დემონსტრაციისა.

ორ მილიონ მცხოვრებნი ქალაქ ვენის დემოკრატია დღესასწაულობდა 48 წლის რევოლიუციის მსხვერპლთა მოგონების დღეს... 1905 წლის ჩვენი რევოლიუციის მოწამე, გამიტყუა ამ ჩემთვის ჯერ უნახავმა, მწყობრმა და მრავალრიცხოვანმა დემონსტრაციამ, ჩამითრია შუაში და გამიტაცა სადღაც წინ...

არ ვიცი ენა, არ ვიცი რის დემონსტრაციაა, არ ვიცი სად მივდივართ, მაგრამ ერთია ჩვენი საერთო ენა, წითელი დროშები მეუბნებიან, რომ კაი საქმეზე მიდიან და მეც შევერიე, როგორც წითელი დროშის ქვეშ მდგომ სოციალისტს.

არ ვიცი რამდენი საათი ვიარეთ. უცებ ვნახე, დემონსტრაციაში მონაწილეთ ხელში ქაღალდის ყვავილები და ვარდები უჭირავთ. შორიდანვე თვალი მოგჭრის ერთ საუცხოვოდ მორთულ ალაგს—ძმათა სასაფლაოს...

ახლაც თვალწინ მიდგას ის ყვავილებით მორთული ალაგი. რომ მივუახლოვდი, მხოლოდ მაშინ გავიგე, თუ რისთვის ეჭირა ყველას ხელში ვარდი, თუ სხვა რაიმე ყვავილი. ამ ყვავილს ყველა სტოვებდა ამ ძმათა სასაფლაოზე, რომელიც გამოიყურებოდა რაღაცა ზღაპრულ ვარდ-ყვავილთა მთად. ქარი ამ ყვავილებს აქეთ-იქეთ აძრევდა და ასე გვეგონებოდა მთელი ის ალაგი ქანაობსო...

ჩვენც ხომ გვაქვს დღეს ასეთი სალოცავი, ვარდ ყვავილებით შესამკობი ძმათა გვარდიელთა სასაფლაო.

შარშან ჩვენი პირველი მაისის დემონსტრაცია სწორედ ამ წმინდა ადგილისაკენ გაეშურა და შეამკო ძვირფასი სასაფლაო ვარდ ყვავილებით.

იმავე წლის აპრილის ბოლო რიცხვებში თავი ამოვყავი შვეიცარიის ერთ უდიდეს ქალაქ ციურიხში.

ვიცოდი, რომ თავისუფალ შვეიცარიაში პირველ მაისს თავისუფლად იდღესასწაულებდნენ და გულის ფანცქალით მოველოდი ამ დღეს. მინდოდა შემედარებინა ჩვენებური, მალული პირველი მაისის დღესასწაულისათვის...

აი პირველი მაისიც!.. დილით ადრე გამომაღვიძა მუსიკის ხმამ ეს უკვე დღესასწაულის დასაწყისია. მემუსიკეთა გუნდი, რამდენიმე პლაკატებით და წითელი დროშით [illegible] და იწვევს მცხოვრებთ დემონსტრაციისაკენ.

ეს არის ყველა რაიონში, ყველა ქუჩაზე.

დილის რვა საათიდან ათამდე რაიონებში იმართება დღესასწაული-მიტინგი. მუსიკა, სიმღერა, სიტყვები, ცეკვა-თამაში ერთი მეორეს სცვლის. ერთი მეორეს მოსდევს. ნამდვილი დღესასწაულია...

ათზე რაიონები მწყობრათ, ჯარისკაცებივით ირაზმება და მიდის დანიშნულ ალაგის, სადაც ყველა რაიონები, თუ კავშირები სწორედ თერთმეტ საათზე უკვე თავმოყრილი არიან. ყველა კავშირს, ყველა ორგანიზაციას აქვს თავისი ალაგი დანიშნული, საცა ის ჩერდება და ერთ ხანს შემდეგ ასევე მწყობრად მთელი დემონსტრაცია იძვრის ალაგიდან. დემონსტრაციის დასასრული და საზოგადო მიტინგი ინიშნება ქალაქ გარედ მინდორში ან ტყეში.

ხოლო თვით დემონსტრაციის მარშრუტი ადრევე არის შემუშავებული. ეს მარშრუტი იცვლება ყოველ წელს. და ამით იმ მიზანს აღწევენ, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ყველა უმთავრესი ქუჩა იხილავს ამ დიდებულ დემონსტრაციას. ჩვენ რუსეთის ემიგრანტებს გვქონდა ცალკე წრე და ცალკე ალაგი საერთო დემონსტრაციაში.

ასე ვიარე რამდენიმე ხანს, მაგრამ გულმა არ მომითმინა. მინდოდა მთელი დემონსტრაციის ნახვა, [illegible]... ჩამოვრჩი რუსების წრეს და დავიჭირე ალაგი ერთ მაღლობ ალაგას.

დიდებული სანახაობა გადაიშალა თვალწინ..

სულ წინ მშვენივრათ მორთული ველოსიპედით და მასზე მიმაგრებულ წითელ დროშით დემონსტრაციის გზის მაჩვენებელი... მას მიყვება ველოსიპედისტთა კავშირი, საუცხოვოდ მორთული ველოსიპედებით, ნელი, მწყობრათ, რიგ-რიგათ. ამათ მიყვება ბავშვთა წრე. ესენიც ვარდებით, ყვავილებით და თვითო ტანსაცმელში გამოწყობილნი, რაღაცა ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდენ. შემდეგ მოყვება ახალგაზრდათა წრეები, ქალთა ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები და პროფესიონალური კავშირები.

ყველა ორგანიზაციას, ყველა წრეს აქვს თავისი დროშა, თავისი რაიმე ემბლემა სხვადასხვა სურათებით თუ წარწერებით. ალაგ-ალაგ თვით დემონსტრაციაში ხედავთ ავტომობილს, საიდანაც ან მღერიან, ან ლიტერატურას არიგებენ, ანა და აგიტაციას ეწევიან...

აი ავტომობილი ფერადი დროშებით მორთული. შიგ სხედან სხვა და სხვა ეროვნების ტანსაცმელში გამოწყობილნი... ავტომობილს აქვს წარწერა: გაუმარჯოს ინტერნაციონალს! ერთი არა ჩვეულებრივი სურათი: ეს ბუხრების მწმენდავთა კავშირია. ყველა რომ სუფთათ, ლამაზად არიან ჩაცმულნი, ესენი-კი გამურულ, გაშავებულნი, არაჩვეულებრივ შავი სახეებით. ხელში ბუხრის საწმენდი ცოცხებითა და [illegible] ასლები ნიჩბებით მიყვებიან დემონსტრაციას. ერთი სიტყვით, ყველა კავშირი, ყველა ორგანიზაცია, ყველა წრე, რაღაცა არა ჩვეულებრივ, სასაცილო ან სიმბოლიურ სურათს თან ატარებს... გაკვირვებას, ყურადღებას იპყრობს.

დროშები, მუსიკა, მომღერალთა გუნდი ხომ ყველა ორგანიზაციას თან გაჰყვება.

წესრიგი მწყობრად სიარული, დანიშნულ ალაგამდი მისვლა ყველა ორგანიზაციისათვის, ყველა კავშირისათვის სავალდებულოა.

აი ერთი საერთო შთაბეჭდილების დამარღვევი სურათი: დემონსტრაცია გაივლის ერთი ქარხნის კარებთან... ქარხანა მუშაობს. ისმის მანქანათა ხმაურობა. აქ-იქ ქარხნის ფანჯრიდან მოჩანს მუშები გამოიყურებიან. სწორედ ისე, როგორც [illegible] გაღებულ ფანჯრებიდან ადევნებენ თვალს ამ მათთვის არა სასიამოვნო სანახაობას. ეს რა ამბავია ეს ქარხანა რათ მუშაობს... რატომ ესენიც არ არიან დემონსტრაციაში! ვკითხულობ მეზობელს.

ესენი შეუგნებელი, ჩამორჩენილი მუშებია, ანა და ყვითელი კავშირისანი არიან... აქ ესენი ბევრია თავისუფალ შვეიცარიაში. ვიკვირს, მაგრამ ფაქტის წინაშე ვდგავარ. სრული თავისუფლება... ერთი დღესასწაულობს, ხოლო მეორე— კი არა.

პარტიულ და ნამდვილ მუშათა კავშირების წევრებისათვის კი დემონსტრაციაში მონაწილეობა სავალდებულოა. დუქნები არ იკეტება. არც ტრამვაი ჩერდება. ტრამვაის გაჩერებით, ერთი რომ ქალაქი ზარალობს და მეორე თვით დემონსტრანტებისთვის ტრამვაი საჭიროა. აი დემონსტრაციამ მიაღწია დანიშნულ ალაგს. ქალაქ გარეთ დიდი მინდორი გადაშლილა ხალხით. მინდორს მშვენიერი ნაძვნარი ტყე ახლავს.

აქ მთელი ქალაქი გაშენებულა. მთელი მაზრობაა. ვაჭრობა, თამაში, მიტინგი, ცეკვა, სიმღერა ერთი-მეორეში არეულია. ვერც დემონსტრაციაში და ვერც ამ მინდორზე ვერავინ ნახავ თუ მას გულზე სამოსი წითელი ნიშანი არ აქვს მიბნეული.

საღამოობით თვით რაიონებში გრძელდება დღესასწაული.

ამ დღეს მაგარი სასმელების ხმარება მოყვება ხოლმე არა სასიამოვნო შედეგები. ამიტომ მუშათა ორგანიზაციებმა ზოგი წლებში აკრძალეს პირველ მაისს მაგარი სასმელების გაყიდვა.

პირველი მაისი არაა ჰგავს სხვა დღესასწაულებს.

ეს დღე განახლების, აღვიძების დღეა. ეს დღე დაკვირვების, სიფხიზლის დღეა. აქ მუშათა კლასი ცდილობს ყველგან მისცეს პირველ მაისს არაჩვეულებრივი, დინჯი, ორგანიზაციული, კლასობრივი ხასიათი.

ჩვენც, ამ ჩვენ ნორჩსა და თავისუფალ რესპუბლიკაში, აი უკვე მესამე მაისობას ვეგებებით. არსებულ პირობებში ჩვენ ბევრი მოგვეთხოვება. მაშ, მოვემზადოთ, დავირაზმოთ!

ა. დოლიძე.

ალმაშფოთებელი შემთხვევა

იმ დროს, როდესაც ყოველი პატრიოტი ქართველი მუშა დღეს უსაზღვრო ეკონომიურ გაჭირვებას განიცდის და მისი ნერვებიც დაქანცულია, იგი მაინც ითმენს და ითმენს იმიტომ, რომ ამას მისი სამშობლოს ინტერესები უკარნახებენ. რომ ჩვენ გვყავს ბევრი მტერი და მოყვარეც, ეს კარგად ვიცით, მაგრამ არიან ისეთი უპასუხისმგებლო მოხელეებიც, რომლებიც ფეხ ქვეშ თელავენ თავისუფლებას და დემოკრატიზმის პრინციპს. ერთი ასეთი „გმირი" თურმე მსახურობს სისხლის სამართლის მილიციაში. ეს „გმირი" გახლავთ ვინმე ცქიტიშვილი. საქმე შემდეგშია: შაბათს, 10 აპრილს, 19 თებერვ. ქუჩაზე ბაზიერაშვილის საპარიკმახეროში მოვიყარეთ თავი რამდენიმე სულმა წვერის გასაპარსად და ვუცდიდით რიგს. აქ შემოვიდა, სხვათა შორის, წმ. ნიკოლოზის ეკლესიის მღვდელი ხუციშვილი. ლაპარაკი ჩამოვარდა უკანასკნელ

ებტის გატარების კიდევაც შეეცადა ერთს პროვინციაში (მორავიაში) ავსტრიის ნახევარში თვითმპყრობელი მთავრობა. შპრინგერის აზრით, „საკითხი ამა თუ იმ ეროვნებასთან მიკუთვნებისა მხოლოდ იმ გზით გადაწყდება, რომ ყოველი პირი თითონვე აღიარებს, რომელ ეროვნულ ჩამომავლობას აკუთვნებს იგი თავის თავს" **).

თავისუფალი აღიარების მომხრენი იყვნენ თითქმის ყველა ის ორატორები, რომლებიც პერსონალურ პრინციპს უჭერდნენ მხარს ავსტრიის სოც.-დემ. პარტიის ბრიუნის ყრილობაზე. ელენ ბოგენის ზემოთ აღწერილ სიტყვებშივე არის ხმარებული სიტყვა „ნებაყოფლობითი აღიარება".

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა მიერ შემუშავებულ პროექტებს შორის მხოლოდ რუსთა ეროვნული საბჭო დგას აშკარად ამ „თავისუფალი აღიარების" ნიადაგზე. მის მიერ შემუშავებულ პროექტის პირველ მუხლში ნათქვამია: „საყოველთაო აღწერა აღნიშნავს ყოველი ეროვნების მოქალაქეებს; ამა თუ იმ ეროვნებასთან მიკუთვნება წყდება თანახმად სრულწლოვან მოქალაქეთა თავისუფალი აღიარებისა, რომელსაც მოქალაქე აძლევს კომპეტენტურ დაწესებულების წინაშე და რომლის ძალითაც იგი ჩაირიცხება ეროვნულ მატრიკულებში" (სიებში).

თუ, ამნაირათ, თითქმის ყველა თეორეტიკოსები და პოლიტიკური მიმდინარეობანი ემხრობიან ეროვნულ კავშირში თავისუფალ შესვლის აზრს, აქედან თავის-თავად იბადება ეროვნულ კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის იდეა. პერსონალური პრინციპის მამათ მთავარი შპრინგერი ამბობს: „მშობელ ერის უარყოფა ისევე ზიზღს ჰგვრის ნაციონალისტს, როგორც სარწმუნოების გამოცვლა მორწმუნეს. მაგრამ ამნაირი საქციელის დასჯა ექვემდებარება არა სახელმწიფო უფლებას, არამედ ეროვნულ ზნეობას".*) ოტტო ბაუერის მთელ თხზულებაშიც იგულისხმება ეს თავისუფალი გამოსვლა ეროვნულ კავშირიდან. თავისუფალ შესვლის და იქიდან თავისუფლად გამოსვლის ნიადაგზე მტკიცედ დგას „ებრაელ მუშათა სოციალისტური პარტია", რომელიც ცოტა ხნობით გამოჩნდა რუსეთის აზროვნების ჰორიზონტზე და თავისი კვალი სწორედ ეროვნულ საკითხის მრავალ მხრივ გაშუქებაში დასტოვა. ამ პარტიის პუბლიცისტი მ. ბორ ხაგი ამბობს: „ამა თუ იმ ეროვნულ კავშირში შესვლა და იქიდან გამოსვლა ნებაყოფლობაზე უნდა იყოს დამოკიდებული.*)

რუსთა საბჭოს მიერ შედგენილ პროექტში არაფერია ამის შესახებ ნათქვამი, მაგრამ იმ ორატორმა, რომელიც დამფ. კრების საკონსტიტუციო კომისიაში დაასაბუთა ეს პროექტი, განაცხადა, რომ თავისუფალი გამოსვლა ეროვნულ კავშირიდან ყველა მოქალაქის უფლებას უნდა შეადგენდეს.

ეროვნულ უმცირესობათა სხვა პროექტებში არაფერია ნათქვამი ეროვნულ კავშირში ნებაყოფლობით შესვლის და კავშირიდან დაუბრკოლებლივ გამოსვლის შესახებ. ზოგიერთი ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი უარყოფს ამ ნებაყოფლობას და აღიარებს კავშირში იძულებითი ჩაწერის და გამოსვლის აკრძალვის საჭიროებას და ჩვენ გვგონია, რომ ლოღიკურად ისინი უფრო სწორ გზაზე დგანან.

ეს იძულება პირდაპირ გამომდინარეობს საჯარო უფლების მცნებიდან: თუ ეროვნული კავშირები საჯარო უფლებით შემოსილი, აუცილებლად საჭიროა დაწესდეს ამ კავშირებში მოქალაქეთა იძულებითი შეყვანა და თავისუფლად გამოსვლის აკრძალვა. შესვლა-გამოსვლის თავისუფლება უარყოფს და არარად ხდის იმ საჯარო უფლებებს, რომლითაც, პერსონალური პრინციპის მომხრეთა აზრით, უნდა შეიმოსოს ეროვნული კავშირი.

მართლაც, შესაძლებელია, თუ არა, საჯარო უფლებებით იყოს აღჭურვილი რომელიმე, კავშირი რომელიც თავის შემადგენლობის მხრივ არ არის მტკიცეთ განსაზღვრული? ვთქვათ, რომელიმე მოქალაქე ნებაყოფლობით ჩაეწერა რომელსამე ეროვნულ კავშირში. თუ ეს კავშირი საჯარო უფლებებით არის აღჭურვილი, იქ ჩაწერა მოქალაქეს აძლევს ვალდებულებას, რომლებიც მან აუცილებლივ უნდა შეასრულოს და რომელთა მოუხდელობა იწვევს იძულებას სახელმწიფოს მხრივ და სასჯელს სახელმწიფოს კანონის მხრივ. მაგრამ ვთქვათ, რომ ეროვნულ კავშირში ჩაწერილმა მოქალაქემ არ მოინდომა ამ ვალდებულების მოხდა და არჩია გამოსვლა სწორედ იმ დღეს, როდესაც სახელმწიფო მისგან მოითხოვს ვალდებულების მოხდას. რაკი ყოველ მოქალაქეს შეუძლიან თავისუფლად შესვლა ეროვნულ კავშირში და თავისუფლად გამოსვლა იქიდან, ეს ფაქტიურათ ამას ნიშნავს, რომ მას თავისუფლად შეუძლიან თავის ვალდებულების მოხდა თუ არ მოხდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თავისუფალი შესვლა კავშირში და თავისუფალი გამოსვლა იქიდან კავშირს ფაქტიურად აქცევს კერძო კავშირად და მას სრულიად უსპობს საჯარო უფლებით აღჭურვილ კავშირის ხასიათს. ამნაირათ, თუ ჩაწერა ამა თუ იმ ეროვნულ კავშირში არ არის მოქალაქისათვის სავალდებულო, ეროვნულ კავშირს ამით სრულიად ესპობა საჯარო უფლებები და იგი ფაქტიურად კერძო, თავისუფალ კავშირად იქცევა.

გეორგ იელინეკი სწორედ ამ იძულების ნიშნით არჩევს სახელმწიფო ხასიათის დაწესებულებას კერძო, თავისუფალ ორგანიზაციისაგან, „მბრძანებელ საკავშირო უფლებას" „არა მბრძანებელ უფლებისაგან". ერთი განსხვავება მათ შორის უკვე ზემოთ მოვიყვანეთ, მეორე განსხვავება ამ ორ უფლებას შორის, იელინეკის აზრით, ასეთია: „ყოველ კავშირიდან, რომელსაც მბრძანებლობითი უფლება არ არის მინიჭებული, თითოეულ წევრს შეუძლიან თავისუფლად გასვლა" *). თავისუფალს, კერძო კავშირს, რომელიც საჯარო უფლებით არ არის მოსილი, შეუძლიან გამოსცეს ერთნაირი დისციპლინალური დადგენილებები, სასჯელები და სხვა. მაგრამ, ამბობს იელინეკი, „მიუხედავათ ამ დისციპლინალურ უფლებისა, მის ქვეშ მდგომს მოქალაქეს ყოველთვის შეუძლიან გამოსვლა კავშირიდან (მხოლოდ სახელმწიფოს შეუძლიან კანონის ძალით დაკავოს იგი კავშირში) და ამნაირათ თავი განთავისუფლოს დისციპლინალური სასჯელისაგან. თვით კავშირს არ მოეპოვება იმ წევრის წინააღმდეგ, რომელიც მის განკარგულებას არ ემორჩილება, არავითარი საშუალება, გარდა იმ კავშირის გაწყვეტისა, რომლითაც ის წევრი კავშირთან არის შეერთებული" **).

როგორც ამ სიტყვებიდან ვხედავთ თავისუფალი გასვლა კავშირიდან ყოფილა კერძო კავშირის ერთი ნიშანდობლივი თვისება, რომლითაც კერძო კავშირი განსხვავდება საჯარო უფლებით მოსილ კავშირისაგან. და მაშასადამე სრული შეუსაბამობაა ერთის მხრით იმის მოთხოვნა, რომ ეროვნული კავშირი უნდა აღჭურვილი იყოს საჯარო უფლებით, და მეორეს მხრით იმის აღიარება, რომ ამ კავშირში შესვლა და იქიდან გამოსვლა თავისუფალი, ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ორში ერთი ან ეროვ. კავშირი უნდა საჯარო უფლებიანი იყოს და ამავე დროს მასში შესვლა უნდა იყოს სავალდებულო, იძულებითი და იქიდან გამოსვლა კანონით აკრძალული. ან არა და ეროვნული კავშირი უნდა იყოს კერძო უფლებიანი და იქ შესვლა და იქიდან გამოსვლა თავისუფალი.

ამ აზრების გასაბათილებლად შესაძლებელია წამოაყენოს ვინმემ ერთი მოსაზრება, რომელიც პირველ შეხედვით თითქოს საფუძვლიანია: ყველაფერი ის, რაც ითქვა ეროვნულ კავშირის წევრობაზე, თითქმის სახელმწიფოს ქვეშევრდომობაზედაც, მოქალაქეობაზედაც; თუ თავისუფალი შესვლა ეროვნულ კავშირში და თავისუფლად იქიდან გასვლა უსპობს ეროვნულ კავშირს საჯარო—უფლებრივ ხასიათს, მაშ ქვეშევრდომობის თავისუფალი არჩევაც უსპობს სახელმწიფოს საჯარო-უფლებრივ ორგანიზაციის ხასიათს; ყოველს მოქალაქეს, რომელიც ითვლება ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომათ, შეუძლიან ამ სახელმწიფოს ქვეშევრდომობიდან გამოვიდეს და ამით განთავისუფლოს თავი იმ ვალდებულებიდან, რომელსაც ადებს მას თავის სახელმწიფოს ქვეშევრდომობა.

ეს სულ მართალია, ანალოგია აქ არსებობს, მხოლოდ ეს ანალოგია თავდება სწორედ იქ, საიდანაც იწყება ყველაზე დიდი მნიშვნელოვანი მხარე საქმისა: განსხვავება ქვეშევრდომობისა და ეროვნულ კავშირის წევრობის შორის იმაში მდგომარეობს, რომ მოქალაქეს შეუძლიან არ იყოს ჩაწერილი არც ერთს ეროვნულ კავშირში: მაგალითად იმ შემთხვევაში, თუ იგი თავს სთვლის იმ ერის წევრად, რომელიც სახელმწიფოში უმრავლესობას შეადგენს. მაგრამ მოქალაქეს არ შეუძლიან არ ეკუთვნოდეს არც ერთს სახელმწიფოს ქვეშევრდომობას. ეროვნულ კავშირიდან შესაძლებელია წმინდათ წასვლა, ქვეშევრდომობიდან „წასვლა" კი ნიშნავს მხოლოდ სხვა ქვეშევრდომობაში „გადასვლას". ეროვნულ კავშირის მიერ დაწესებული ვალდებულება შეიძლება წმინდათ მოიცილო თავიდან; ქვეშევრდომობით დაწესებული ვალდებულებები შეიძლება მხოლოდ შეიცვალოს სხვაზე, წმინდათ კი მისგან თავს ვერ განითავისუფლებ. სწორედ ამნაირათ უყურებს ამ საკითხს თანამედროვე სახელმწიფოს უფლება. გ. იელინეკი ამის შესახებ სწერს: „სახელმწიფოდან მხოლოდ პირობითი გამოსვლაა შესაძლებელი, სახელდობრ, იმ პირობით, თუ გამოსული პიროვნება დაემორჩილება სხვა სახელმწიფოს. imperium ს [illegible] ვერავინ დააღწევს თავს — იგიც, ვისაც სამშობლო არა აქვს, თუ არ მოინდომებს ან უდაბნოში ან პოლიუსზე გამოზამთრებას" ***).

ლევან ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

**) Нац. проблема გვ. 79 იხ. აგრეთვე გვ. 216—17.

*) იქვე გვ. 80.

*) „Серпъ" I 27.

*) „Право совр. гос." 279.

**) იქვე 280.

***) იქვე 281.

დღეებში გავრცელებულ პროვოკაციულ ხმებზე, რომ ვითომც ბოლშევიკებს ზაქათალა აუღიათ და ცხრა დღეში ჩვენი სანგრების გადმოლახვას. მოსდა აზრთა შეცვლა-გამოცვლა. ლიბერალი ამოიწურულია, რეაქციონერული, წვრილმანი საკითხებიც ამ დროის ზედა წამოიჭრა. აგენტი ცქიტიშვილი და ბრძანების კილოთი შეჰყვირა—აბა გამომყევით ტყლიაგ ყველანი, ხოლო ჯერ არის და მე იქ ყველას გასწორდებითო. იქ ლამაწროებში შეეძლო ბოლშევიკის შეზარხოშებული ცქიტიშვილი, რომ ის თავის მოქმედებაში ღრმად სცდებოდა, მაგრამ ვინც კი სიტყვას დაძრავდა, ყველას მუქარებით და ამხანაურ სოფლიდან გამოძევებით სამი მოქალაქე შეუმჭიდროვა ლინჩით და თოფით გაგამეზადენა სადაც ჯერ არის. სამართლიდან ჩვენ 5 წუთის შემდეგ ყველანი გადაყენებულნი, რადგან ლარმუნდნენ ჩვენს სიმართლეში და ცქიტიშვილის მიერ კი უმართებულებაში. ასეთი შეურაცხყოფილი მოქალაქე მუშები ფიცხადება ცქიტიშვილს საბუთ პროტესტს მისი უკანონო მოქმედებისათვის და იმედია ასეთი პირები სათანადოდ დაისჯებიან, რომელნიც თავიანთ მოქმედებით რესპუბლიკისათვის ზიანი მოაქვთ. ჩვენი ვინაობის დადასტურება შეგიძლიათ [illegible] საშუალებით.*)

რესპუბლიკის მოქალაქე მუშები მ. მაჩაბელი, ლორთქიფანიძე, Иванъ Мнацакановичъ Оганесянцъ.

სანდრო მაისურაძის სახელობის წიგნთ-საცავ-სამკითხველო

1919 წლის 9 ივნისს წიგნთ საცავ-სამკითხველო გაიხსნა თფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შენობაში. სამკითხველომ ამ ხნის განმავლობაში აჟურნებული წიგნები შეიძინა. მათი რიცხვი ორი ათასამდის ადის. სამკითხველოს გამგეობამ გახსნა განყოფილება მუშათა კლუბთან.

საზოგადოება სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს დიდის თანაგრძნობით შეხვდა: მკითხველთა რიცხვი დღითი დღე მატულობს. მე მოგიყვან ორი თვის ანგარიშს, 1919 წლის სექტემბრისას და 1920 წლის მარტისას.

1919 წლის 1 ლ სექტემბრიდან 1-ლ ოქტომბრამდე—ერთი თვის განმავლობაში—მკითხველი იყო: 215; ამათში ქართველი—96, სომეხი—32, რუსი,—33, ებრაელი—28, გამოურკვეველი—26. ამათგან 67 მუშა, 94 მოსწავლე, 54 გამოურკვეველი.

1920 წლის 1 ლ მარტიდან 1 ლ აპრილამდე მკითხველი იყო: 1590; ამათში ქართველი—637, სომეხი—151, რუსი—188, ებრაელი—153, გამოურკვეველი—471. ამათგან 352 მუშა, 475 მოსწავლე, 665 გამოურკვეველი.

როგორც ხედავთ, მკითხველთა რიცხვი ძლიერ იზრდება, განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მოგებულია ჩვენი დემოკრატიის, მუშა ხალხი დიდის ხალისით და ხიცხოველით ეწაფება სწავლა-განვითარებას. სამწუხაროდ, როცა სხვა ეროვნების მკითხველთა რიცხვი მატულობს, სომეხი მკითხველი თანდათან მცირდება. ეს, ჩვენის აზრით, იმით აიხსნება, რომ სომხური წიგნები სამკითხველოს საკმარისი არა აქვს. ესევე ითქმის თათრებზე. ამიტომაც იყო, რომ ახალმა გამგეობამ თავის პირველ სხდომაზევე ამ მოვლენას დიდი ყურადღება მიაქცია და მიიღო ზომები ამ ნაკლის შესავსებათ.

ფინანსების მხრივ სამკითხველო ცუდ პირობებშია, მართალია, სამკითხველოს გახსნისას ბევრი შემომწირველები შემოვიდა, მაგრამ ეგი უკვე ამოიწურა. სამკითხველოს დღევანდელ საშუალებათ არსებობის წყარო არსაიდან არა ჰქონია და. ძველი გამგეობა სხვადასხვა საშუალებებით (როგორიც არის მოგზაურობათ—საღამოს მოწყობა, ყუთლებებით შეკრება) უძღვებოდა ხარჯებს. ასეთ მდგომარეობაში დატოვება სამკითხველოსი ყოვლად შეუძლებელია, საჭიროა სამუდამო წყაროს აღმოჩენა.

დღემდის სამკითხველოს სულ შემოსავალი ჰქონდა 78,808 მ. 22 კაპ. ხოლო გასავალი 74,796 მ. 92 კაპ. კასაში არის 4011 მ. 30 კაპ.

სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველო—ეს ჩვენი დემოკრატიის პირმშო შვილია. მან თავის ბუნებით მუშათა ორგანიზაცია ამოირჩია და იქ დაიბადა. რაკი პროფესიონალური კავშირთა საბჭო ახალ ბინაზე—მუშათა სასახლეში—გადმოდის, სამკითხველოც იქ იქნება გადმოტანილი.

იქ სამკითხველოს სათავეში ჩაუდგა პროფ. კავშირთა საბჭო. მან თავის შორის ამოირჩია ახალი გამგეობა და მას ჩააბარა მისი გაძღოლა.

სამკითხველო მოიკოჩლებს სომხურ-თათრული წიგნების მხრივ, აგრეთვე სამკითხველოში სულ არ მოიპოვება სომხური წიგნები—საჭიროა ყველა ამ ნაკლის შევსება.

ძველმა გამგეობამ თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულა და ჩვენ იმედი გვაქვს ახალი გამგეობა—დაკისრებულ მოვალეობას გაამართლებს.

სანდრო მაისურაძის სახელობის სამკითხველოს ადმინისტრაცია აყვავებით ორი საქმე კვდება—სანდრო მაისურაძის ხსოვნა საუკუნოთ გამშვენიერდება და თვითგანვითარების საქმეც წინ წავა.

მ. თამაზაშვილი.

ნოე ჟორდანიას

თხზულებათა გამოცემის ხელმძღვანელ წრისაგან.

ამ დღეებში შეუდგებიან ნოე ჟორდანიას ყველა ნაწერების ბეჭდვას.

გამოცემას ექნება აკადემიური ხასიათი და დართული ექნება: ნოეს ვრცელი ბიოგრაფია, სხვადასხვა პირთა მოგონებები მასზე და მის მოღვაწეობაზე, მასალები მესამე დასის ისტორიიდან, სოციალ-დემოკრატიის შექმნისა და აღორძინების ისტორიიდან, ცნობები მესამე დასისა და ს.-დემოკრატიის პიონერების ცხოვრება-მოღვაწეობიდან, ცნობები იმის შესახებ, თუ რა გავლენა ქონდა ნოეს ნაწერებს მუშათა კლასზე, რა გამოძახილს პოულობდნენ ისინი მუშებში, ცნობები იმის შესახებ, თუ როგორი წარმოიშვა ჩვენში მარქსისტული მიმართულება და სხვა.

წრე, რომელსაც დაკისრებული აქვს ამ გამოცემის ხელმძღვანელობა, სთხოვს როგორც პარტიის ყველა მოღვაწეებს, ისე ყველა იმათ, ვისაც კი რაიმე ცნობები მოეპოვებათ ზემო დასახელებული მიზნის დირებულათ შესასრულებლად, ნუ დაიზარებენ და დაჩქარებით მოგვაწოდონ ყოველი ცნობები და საჭირო მასალები.

ზოგი ნაწერები და ბროშურები, უმეტეს ნაწილათ მისი არალეგალური ნაწერები დღეს ძალიან ძნელი საშოვარია; ამიტომ ვთხოვთ ყველა იმათ, რომელთაც რაიმე ასეთი ნაწერი მოეპოვებათ, გვათხოვონ ისინი დროებით. როდესაც საჭირო აღარ იქნება, უკანვე დიდის მადლობით დავუბრუნებთ.

ყველა მასალები და ცნობები გთხოვთ გამოგზავნოთ შემდეგის ადრესით: რუსთაველის პროსპექტი, № 26, ქართულ სტამბის ამხანაგობის სტამბაში პეტრე გელეიშვილს.

სენატში

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების სასამართლოს 1920 წ. აპრილის 23-ს სხდომაზე განსახილველად დანიშნულ საქმეთა ნუსხა.

1. საქმე პეტროგრადის სპილენძის გასაპრტყელებელი ქარხნის საზოგადოებისა არშაკ ხეუფის ძე ფურ-აბრამიანთან 8,000 მან. თაობაზე.

2. საქმე ნიკოლოზ გრიგოლის ძის მშვილდაძის ელისაბედ გრიგოლის ასული მშვილდაძისა მართა იოსების ასული მშვილდაძისა ანდრონის წერილის თაობაზე.

3 საქმე ივანე რაფიელის ძის ბელიაშვილისა სიმონ დარისპანის ძე აბულაძესთან 27,000 მან. თაობაზე.

სახალხო გვარდიაში

3 აპრილს შედგა ველიამინოვის ქუჩის სახალხო გვარდიის საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 90 გვარდიელი. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ამხ. ნ. ზვიადაშვილი, მდივნად არ. აბრამოვი. განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 2) შტაბის მოქმედება, 3) შტაბის ერთი წევრის ჩამოშორება.

შტაბის გამგეობას საქმე უწარმოებია სასურველად და კეთილსინდისიერად, გასავალ-შემოსავალი არის საწარმოები კანონების სრული დაცვით კრებამ სრული კმაყოფილება გამოსთქვა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ვინაიდან ველიამინოვის სახალხო გვარდიის შტაბის მოქმედება საუცხოვოა მისაღები და მოსაწონია, ამისათვის გვარდიელთა საზოგადო კრება მადლობას უძღვნის რაიონის შტაბის ხელმძღვანელთ და უსურვებს შემდეგშიაც ნაყოფიერ მუშაობას.

გვარდიელთა და შტაბის კონტაქტიური მუშაობა, იდეიური მხრით კრებამ სასურველ მოვლენათ აღიარა და ისურვა შემდეგშიაც ამ გზით სიარული.

შტაბის ერთი წევრის ამხ. ან. ვაშაკიძის შტაბიდან გასვლა კრებამ მწუხარებით აღნიშნა და სასურველად სცნო წამოაყენოს ამხ. ვაშაკიძემ საბუთიანი მიზეზები, თუ რისთვის ანებებს მუშაობას თავს. X.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 15 აპრილს შედგა თფილისის საქონლის სადგურის ორგანიზაციის პარტიული კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ს. კალანდაძე, მდივნათ ვ. ინწკირველი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები; 1) მოხსენება მომენტზე, 2) სიმონ ახამბაძის განცხადება.

მომენტზე მოხსენებას აკეთებს დამფუძნებელი კრების წევრი ამხ. გრ. ცინცაძე. მოხსენებული ვრცლად შეეხო დღევანდელ ჩვენს მდგომარეობას. ყველა შეკითხვაზე მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მეორე კითხვის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სიმონ ახამბაძემ. მან მიმართა ყველა პარტიის წევრებს ისარგებლონ თავისუფალი დროით და არ დააკლდნენ ლექციებს, და სხვა კითხვებს, რომელიც სისტემატიურათ იმართება კონდუქტორების აუდიტორიაში. კრებამ სასურველათ სცნო სისტემატიურათ ყველა ლექციებზე დასწრება და ახამბაძის მოწოდება სიამოვნებით მიიღო. შემდეგ მომენტების შესახებ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: თფილისის საქონლის სადგურის ჩვეულებრივი პარტიული ორგანიზაციის კრებამ, რომელიც შედგა 15 აპრილს, და რომელსაც დაესწრო პარტიის წევრები სრულიად ყველებით, მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. ცინცაძისა დღევანდელ მდგომარეობაზე და მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე, სრული კმაყოფილია და ადასტურებს, რომ დემოკრატიის ნდობით აღჭურვილი დემოკრატიული მთავრობა შესძლებს დემოკრატიის დასამარებლად გადაიხადოს ყოველივე დაბრკოლება, პარტიული კრება სურვილს გამოსთქვამს, რათა ჩვენმა მთავრობამ ყოველივე ზომა მიიღოს სომეხ თათართა ხალხთა კონფლიქტის შესაჩერებლად, რომელიც წინდებას უქადის ამიერ-კავკასიას. კრება მიესალმება ამიერ-კავკასიის დემოკრატიას, შეერთებული ძალით და მჭიდრო ორგანიზაციული გამოსვლებით მოისპონ ის ხორცუ-მეტი, რომელიც აბრკოლებს ამიერ-კავკასიის ერთა სოლიდარობას.

რეზოლიუცია ერთხმათ იქნა მიღებული. ს. ქრისტანოშვილი.

მუშათა შორის

ნავთლუღი. 16 აპრილს შესდგა მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა. დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) ბინის შეკეთება; 2) დეკორაციების შეძენა; 3) მატერიალური მხარე; 4) სამკითხველო.

პირველი კითხვის შესახებ გამგეობამ მიიღო ამხ. კვერნაძის წინადადება: მიენდოს ამხ. ხურციძეს მოიწვიოს მთავარ შტაბთან არსებული ტეხნიკური კომისიის წევრები, მხოლოდ ამხ. გვიმრაძეს რკინის გზის ტეხნიკური კომისია, რომელთანაც უნდა შეადგინონ შენობის გადაკეთების გეგმა და მასთან დაკავშირებული სამშენებლო თანხის რაოდენობა და წარმოადგინონ მომავალ სხდომაზე.

დროებით თეატრისთვის დეკორაციების მატერიალისთვის მიეღოს პრეზიდიუმს მიიღოს ზომები. მიმართოს სათანადო ორგანოებს, შესდგეს [illegible] ფასებში შესაძენათ. მატერიალური მხარის გამორკვევა გადაიდოს ტეხნიკური კომისიის თანხვედრამდე მეოთხე კითხვა ჯერჯერობით დარჩა ღიათ.

ბ. ლებედი.

— —

ნავთლუღი. 15 აპრილს შესდგა საერთო კრება ქალაქის სახელოსნო მუშა-მოსამსახურეებისა. თავმჯდომარეობდა ამხ. ბერიშვილი. დღის წესრიგი: 1) სასურსათო წიგნაკების დაგვიანების მიზეზი; 2) ტეხნიკური სექციის ოქმის განხილვა; 3) ზოსტინვნელობის გაკეთება სახელოსნოს სახელოსნოში; 4) განცხადება ტერტერიანისა; 5) მდივნის ამხ. ბოკერიას წასვლა; 6) ეკონომ. სარევიზიო კომისიის არჩევა; 7) მოწყობილობა დირექტორისა. სასურსათო წიგნაკების დაგვიანების შესახებ კრებამ აირჩია საგამომძიებლო კომისია, მაგრამ ეგრეთვე დაისვას ვერ დადგა, რისთვისაც იქნა უკმაყოფილებით დატოვებული. ტეხნიკური სექციის ოქმი იქნა განხილული და დამტკიცებული, ზოსტინვნელობის გაკეთების შესახებ კრებამ დაადგინა ეთხოვოს ქალაქის თვითმ. წევრის შესვლიძეს, როგორც უკვე დაუსვილია ამ წელს გაეშვან ყველა ის პირები, რომლებმაც დასვენება და შემდეგ კი არ იქნება დასვენება სახელოსნოს სახლებში. ამის სისრულეში მოყვანა დაევალა ამხ. გოგინაშვილს. ტერტერიანის განცხადების შესახებ არჩეულ იქნა კომისია: პირისმანაშვილი და სილიბაძე საქმის გამოსარკვევათ. რადგან მდივანი ბოკერია იქნა მოთხოვნილი ცენტრალური სარევიზიო კომისიის მიერ მათი კავშირის საქმეების ხელმძღვანელად დასტოვა ქალაქის სახელ. მუშა-მოსამ. მდივანისა, რის გამო კრებამ ღრმა მადლობა გამოუცხადა დაუღალავი მუშაობისათვის ბიუროში. ეკონომიური სარევიზიო კომისიაში იქნენ არჩეული: პაისი, პირისმანაშვილი და იაშვილი.

მდივანი ბოკერია.

პროვინცია

ხაშური. ამას წინათ გავლით მომიხდა ყოფნა ხაშურში. მატარებლის ცდამ მომიხადა, მეც ვისარგებლე თავისუფალი დროით და ნორჩი ქალაქის დათვალიერება დავიწყე. ეგერ თემის შენობა, ქალაქის მაღაზია ამბულატორია, ხაშურის ვაჭართა კავშირის შენობა. ფუნთუშების გვერდით პატარა, ალმაცერად წამოხურულ რკინის სახურავის ქვეშ ნარიცხვი მიმაგრებულ წითლად შეღებილი პატარა გამოკიდული (ВЫВѢСКА). ამ ოთხკუთხედზე ტილოზე წარწერილმა უცნაურმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. მეც ახლოს მივედი მასთან და წავიკითხე შემდეგი: 1) „შრომა ადამიანს [illegible], აძლევს საზრდოს და აზრებს ყოველნაირ [illegible]“. 2) „ვინც ის არის, ვინც თავის თავს არა ადგენს და [illegible] რაიმე იზრუნებს“. ამ გულუბრყვილო მოწოდებამ აღმიძრა ზოგიერთი სენტიმენტები, შეიძლება, ვისმე ტუჩზე ღიმილიც მოჰგვარის, მაგრამ ჩვენს გათახსირებულ ძარცვა-გლეჯის ხანაში მათი ხშირ-ხშირი განმეორება და წარმოთქმა იქნება ზედმეტიც არ იყოს. აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენი დროისათვის ორიგინალური წარწერა ეკუთვნის ახლად გახსნილ სამკერვალოს. ვიდევ კარებს და შევედი შიგ. წინ შემეგება მანდილოსანი, სკოლის დამამთავრებელი ოლღა თომას ასული კვერნაძისა. მან ამიხსნა, რომ სკოლა სულ ერთი თვე არსებობს, რაც გახსნილა: ყველა ფერი—საქსოვი დაზგები (5 ცალი), მაგიდა, ძაფი, მატყლის სართავი დაზგები, სანთლები და სხვ. ქ-ნმა კვერნაძემ თავისი ფულით შეიძინა. სწავლის კურსი—ექვს კვირიანია, რომლის განმავლობაშიაც მოწაფეები შეისწავლიან სამს დარგს:

ა) ხალიჩა-ფარდაგის ქსოვას, ბ) ფეხსაცმელების კერვას, და გ) მატყლეულის ქსოვას. სწავლის ფასი 1200 მანეთია. სკოლა მოთავსებულია საკმაოდ დიდ ოთახში, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, სიღარიბის ნიშნები: დაგროვილ ნედლი მასალისა, სამუშაო იარაღის და მოუწყობელ მოწყობილობის გამო. ამ უკანასკნელთა რიცხვი, ქ-ნ კვერნაძის სიტყვით, ამ ახლო მომავალში საგრძნობლად გაიზრდება. ოთახი სკოლისთვის უფასოდ დაუთმია ხაშურის ვაჭართა კავშირს, რომელიც დაპირებია კიდევ მის გაფართოებას. ეს კავშირი სწორედ მადლობის ღირსია და აგრეთვე მადლობით იხსენიებს მის საქციელს ქ-ნი კვერნაძისა. ეს მანდილოსანი ყველას შესთხოვს მხოლოდ ერთ რასმეს—უბრალო თანაგრძნობას და გამამხნევებელ სიტყვას. და მართლაც, ქ-ნი კვერნაძისა ღირსია ამ თანაგრძნობისა და ყოველნაირ დახმარებისა, რაზეც, დარწმუნებული ვარ, არ დაიშურებენ ხაშურის ქალაქის თვითმართველობა, ადგილობრივი თემი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ცხოვრებაში პროვინციაში ამნაირ სახელოსნო სკოლას ჩვენს ეკონომიურ მდგომარეობისათვის. მით უმეტეს, ხაშურელები ამ სამკერვალოს განმტკიცება და მისი ფეხის მოკიდებაზე, რომ მასში სწავლობენ როგორც თვით ხაშურის, ისე ახლო მახლო სოფლების ქალიშვილები და სწავლობენ დიდის ხალისით და გატაცებით.

მეზავრი.

წერ. რედაქციის მიმართ

(ღია წერილი გურჯაანის თემის გამგეობის თავმჯდომარეს ალ. ყულაბერაშვილს.)

შარშან ივლისში გაიმართა „ფრონტის დღე“, რომლის სასარგებლოდ შეიკრიბა შემოწირულების სახით ვეჯინ-გურჯაანში სურსათი ნოვავი და ფული, გაიმართა წარმოდგენა ამავე მიზნით, ამის შემდეგ სარევიზიო და სურსათის ამკრეფ კომისიამ იგი ბარში და ხარჯების გამოკლებით. ეს ნდა შემოსავალი, რაც გამოიხატებოდა ორი ათას თუმანზე მეტი, ჩაბარდა თქვენ გადასაცემად მთავარ „ფრონტის დღის“ კომიტეტისათვის. ეს ფული, როგორც ხმებია ჯერაც არ გაგზავნილა თავის ადგილას, გთხოვთ „მოქალაქის“ საშუალებით გვაუწყოთ, მართალია თუ არა ეს ხმები. თუ მართალია, რა არის დაგვიანების მიზეზი, და თუ გაგზავნეთ ფული, აღნიშნეთ დრო და სია ანგარიშისა, რომელიც თქვენ ხელთ მიიღეთ კომისიისაგან.

ერთი კომის. წევრთაგანი.

— —

უღრმეს მადლობას ვუძღვნით ჯავშნიან-მატარებლის № 4-ს რაზმის ყოფილ გვარდიელს ამავე ჯავშნიანისა ლადიკო ჯაყენასას, რომელმაც შემოსწირა ჩვენს სამკითხველოს 1000 მან.

მე-4 № ჯავშ. მატარებლის რაზმი.

---

*) რედაქციისაგან: ამ წერილის შინაარს ადასტურებს ხელის მოწერით ხუთი მოქალაქე.

განცხადებანი

ვყიდულობ ძველ, ხელოვნურად გაკეთებულ კარგ ღირსების

კბილებს

დიდ ფასებში. პეტროგრადის ქ. № 3, პოლდგრიტი, კუთხიდან მეორე პადიეზდი, ქვემო სართულზე, მარცხენა მხარე. (1427 2—1)

ტფილისში
პროფესორი დოკტორი მედიცინისა
ვ. ა. მოსეშვილი
გადავიდა ვორონცოვის ქუჩაზე ა. ი. არჯევანიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ. მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფებს დილით 12—1 ს, საღამოთი 5—6 საათამდი. (1337—25—1)

ექიმი
გენრიხ ისაკის ძე პოლონი
ლეჩულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებებიან ავადმყოფებს დილით 1—2 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (1304 25—2)

ექიმი
ა. გ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებათ (სიფილისი "606" და 914 შეშხაპუნება). მიიღებს: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ხეჩაძის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის [illegible] მოპირდაპირე. (1328 25—2)

კბილის ექიმი
ე. თ. ღორის-მელიქოვა ჯიბლაძისა
და მისი ასისტენტი მ. ა. ღიდიძე იღებენ კბილით ავადმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ [illegible] კბილებს. ავადმყოფებს მიიღებენ დილით 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანას ტასის ქუჩა № 12. ტელეფონი 3—63. (21—5)

ექიმი **მ. ა. შაურანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქუჩა № 33. (1288 25—3)

ექიმი
ნიკოლოზ მახვილაძე
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეხაპ. 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. [illegible] ქუჩა № 72, ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (1224—თ.)

ექიმი
სოლომონ ისაკის ძე [illegible]
იღებს ქალისა და [illegible] ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელინის ქ. № 5. (1303—25—2)

მედიცინის დოქტორი
ივ. ღულაძე
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიიღება საღამოს 4—7 საათ. მეწინავეს ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში. (1259—24—5)

ოზურგეთში
ექიმი **აბაშიძე**
ლეჩულობს ავადმყოფებს შინაგან სენისა: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლავების ელექტრო აპარატით „ტუბერკულინით“ და „ფოსფოლიცინით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. სიხარულიძის სახლში. (კუპ. 236.)

ექიმი [illegible]
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებების ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე. [illegible] ქუჩა № 51, [illegible]

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
[illegible] ქუჩა № 26. იღებს ყოველ დღე 12—2 საათამდე 6—7. სპეციალურად საშინაო ქალების ავადმყოფობა. და ვენერიული ავადმყოფობანი.

ექიმი
ნ. ლ. ცერიაშვილი
იღებს ქალურ და ბავშვის სნეულებებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღე 1—2 და საღ. 4—5 [illegible] ქუჩა № 7 ვორონცოვის ხიდის ახლო ტელეფონი 14—13. (1325—25—2)

კერძო სამკურნალო
ყოველნაირი ავადმყოფთათვის
ძ. ე. მ. მძინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირონ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 იღებს 8—3 ს. ვენერიულ: სიფილისით და კანის ავადმყოფებს მიღება აგრეთვე საღამოთი 4—7 ს. ღარიბთათვის უფასოთ დილ. 8—11 ს. სამკურნალოში ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები:
ი. ქ. აბაკელია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვთა სნეულ.
ნ. ნ. ჯავახიშვილი ნერვებ. და ფსიხიატრია.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგანი და მიკრო ქიმიური გამოკვლევანი.
ა. გ. მაზაგარიანი—[illegible] (ქირურგიული) სნეულ.
ვ. მ. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. ორჯონიკიძე—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალების სნეულებ.
ვ. ლ. შალამბერიძე—დედათა სნეულ. (ქალების და მეანობა).
სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაციები, ოპერაციები, ელექტრიზაციები, ყვავილის აცრა, კანს ქვეშ სხურება მასაჟი, შეშხაპუნება „606“ და „914“. აგრეთვე მიღება მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. (6. 25—2)

ქართული აქციონერული საზოგადოება
„ოქროს ვერძი“

ამით აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 26 მაისს, დილის 11 საათზე, ქალაქ ფოთში, საზოგადოების განყოფილების ბინაზე (ლიალინის და მიხეილის ქუჩების კუთხე, ციციაშვილების სახლი) დანიშნულია საზოგადოების აქციონერების წლიური ჩვეულებრივი კრება შემდეგი საკითხების განსახილველად:

1) საზოგადოების დაარსების დღიდან, 1918 წლის 26 მაისიდან ამა 1920 წლის პირველ იანვრამდის ანგარიშების განხილვა და დამტკიცება;

2) დივიდენდის დარიგება;

3) მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა;

4) გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები;

5) სხვადასხვა კითხვები.

ამასთანავე გამგეობა აცხადებს, რომ კრებაზე დასწრების უფლება ექნება და ხმა მიეცემა მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც სახელობითი აქციები აქვს, აგრეთვე იმ უსახელო აქციების პატრონებს, რომლებიც კრებამდის არა უგვიანეს ერთი კვირისა წარმოადგენს გამგეობაში ან მის განყოფილებაში ქ. ფოთში და კრების გათავებამდის უკან არ წაიღებს თავისი უსახელო აქციებს. აქციების მაგიერად შეიძლება წარმოდგენილი იყოს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რომელიმე ბანკის, აგრეთვე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულებათა (ქალაქის გამგეობათა და ერობათა) მოწმობა აქციების გირაოთ ან შესანახად მიღებისა. ამ მოწმობებში უნდა იყოს ნაჩვენები იმ აქციების რაოდენობა, მათი ნომრები და ღირებულებანი. (1330—3—2)

[illegible] № 1.